ტფილისი

№ 140
ივნისის 29, კვირა 1903 წ.
1877

ივერია

№ 140
ივნისის 29, კვირა 1903 წ.
1903

წიგნთ-საცავი

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ვისაც ხვედრი ფული არ შემოუტანია პირველ ივლისიდან «ივერია» აღარ გაეგზავნება.

პირველ ივლისიდან წლის დამლევამდე

გაზ. „ივერია"

ჰღირს 6 მანეთად.

გაზეთის „ივერიის" ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით--7 მ.25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

ჟირარდის მანუფაქტურების ს: აქც. საზ. საწყობი

სასახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურობისა

მრავლად მიღებულია საზაფხულო სეზონისათვის:

საქალო მატერიები: ბატისტი, სატინა, მუსლინი, კრისტა, ლინი, არჟუანტინი, მერველიე, ბროშე, ბროდე ზოლიანი, პლიუმტი, ლევანტინ-ფულიარი, ფერადი ტილო.

საკიტელო მატერიები: კოლომენკა, რაგოჟა, ეშმაკის ტყავი-მოლესკინი, პარუსინა გიმნაზიელთა ბლუზებისათვის.

საფარდეგო ტილო და ტიკი ფარდებისა და მარკიზებისათვის

საბანაო ზეწრები, ხალათები და სხვა კუთვნილებანი

ნიმუშები უფასოდ ეგზავნებათ მსურველთ.

დონნერი და ლეიტცი.

(100—63)

ისყიდება სურამში

იუნკერთა სასწავლებლის პირდაპირ მშვენიერი საგარაკო ადგილები

„საჩხეიძო"

თვისის მდებარეობით და ჰავით ჰსჯობია ყველა საგარაკო ადგილებს. დასარწმუნებლად ვსთხოვ მყიდველებს ინახულონ ადგილობრივ.

მამული მდებარეობს შოსის გზის პირად, შიგ მამულში გაყვანილია ფართო გზები, მოაგარაკეთა სასეირნოდ დატოვებულია ორი მოზდილი „**პარკი**" **ფიჭვისა** და **მუხისა**, პირობების გასაგებათ შეიძლება მიჰმართოთ:

სურამში: კნეინა ევა გიორგის ასულს ჩხეიძისას,

ტფილისში: „ივერიის" რედაქციის კანტორას და ნოტარიუსს მღებროვის კანტორაში ერევნის მოედანი, სახლი № 2).

(30—14).

კავკასიის ნატურალური კონიაკი

დ. ზ. სარაჯიშვილისა

ტფილისში

საწყობნი: ს.-პეტერბურგს, მოსკოვს და ვარშავას. უმთავრესი კანტორა ტფილისში, ოლგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

(50—6—24)

საბავშვო ბაღი

„ბავშვთა მფარველ საზ." და „მასწ. ქალთა საზოგადოებისაგან"

კვირას, 29 ივნისს

გამართული იქმნება

სეირნობა·

საღამოს $4^{1}/_{2}$ საათიდან 10 საათამდის, შემდეგი პროგრამით:

1) საკონცერტო განყოფილებაში: სამუსიკო ორკესტრი ა. თ. ვინჩენკოს ხელმძღვანელობით. მომღერალთა გუნდი ნ. ს. ილხოვსკის ხელმძღვანელობით. დივერტისმენტი: მონაწილეობას მიიღებენ ბბ. ყიფიანი და ზაგირსკი.

2) სათამაშო-გასართობი: ბუნდოვანი სურათები, ცეკვა, ნიშანში სროლა თოფით და შვილდით, კეგლი და სხვა საბავშვო სათამაშოები ა. ვ. იაგოროვის ხელმძღვანელობით. გამართული იქმნება სეირნობა მუზიკით და ბენგალის ცეცხლებით ბუფეტი.

დაუკრავს სამხედრო მუსიკა. შესასვლელი ფასი ბავშვთათვის 20 კაპ. დიდებისათვის 30.

(3—უ—3)

პედაგოგიური საბჭო გორის ანასტასიის პროგიმნაზიისა, ამით აცხადებს, რომ ამა წლის 1-ლს სექდემბერს ამ პროგიმნაზიას მოემატება მეხუთე კლასი. მისაღები გამოცდა დანიშნულია 26 აგვისტოს. დამატებითი გამოცდა 27 დ̃ 28 აგვისტოს. თხოვნები მიიღება ზედამხედველის (начальница) სახელზე. თხოვნასთან უნდა წარმოადგინონ მეტრიკული და ყვავილის აცრის მოწმობანი.

(3—ჟ—2)

ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებელი აცხადებს, რომ მიმდინარე წლის ენკენისთვისათვის 40 თავისუფალი ადგილი არის პირველ განყოფილებაში, რომელშიაც მიიღებიან შვიდი და რვა წლის ყმაწვილები.

დანარჩენ განყოფილებებში და პროგიმნაზიულ კლასებში თავისუფალი ადგილი არ მოიპოვება.

თხოვნების მიღება გაგრძელდება ოცდახუთ მარიამობის თვემდე. თხოვნასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქმნეს წლოვანების, აზნაურობის და ყვავილის აცრის მოწმობანი.

ყმაწვილების მიღება დანიშნულია 27 მარიამობისთვეს.

ხელ-მეორე გამოცდა, რომელიც მაისში დაენიშნა მოსწავლეებს, მოხდება 25 და 26 მარიამობისთვეს.

სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.

(3—6—3)

ახალშენიშვილი

ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 ს. და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-მდის და საღამ. 5—7-მდის.

(წლ.)

კერძო სამკურნალო

ექიმის მუსხელაშვილისა

(გედევანიშვილისეული)

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

მ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

მ. დ. ლამბაშიძე—ორშ., ოთხშ.. და შაბათ. 10—11.

ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით 10—11 ს.

ი. პ. ახალშენიშვილი--კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

მ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 ს.

ზრ. მ. ხოზოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

საღამოთი:

[illegible] ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

მუდმივი ექიმი გ. დ. ნასარიძე.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

46—8 ტელეფონი № 274

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო-ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ჟ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფისა.

მ. ზ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. ღლის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

კ. ი. ზქელიშვილ. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

ზ. ა. თარხანოვი. 1—$1^{1}/_{2}$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. პ. კარაპეტიანც. 1—$1^{1}/_{2}$ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბთაობით და შაბათობთ.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულისა და კანის ავადმყოფობის:(ელექტროტერაპია)

ლ. ვ. ბარტოლდი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგან და ვენერიულის ავადმყოფობისა.

გ. ს. ლევი 6—7 საამდე, ნერვებისა (ელექტროთერაპიისა), შინაგანი დვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. ზერბანინა** 7—$7^{1}/_{2}$ საათამდის. ქალისა და საბები ავადმყოფობისა.

ზ. ა. თარხანოვი. $7^{1}/_{2}$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფიანი.

ბ. ა. ნავასარდიან. $8^{1}/_{2}$—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ ,,მასსაჟ", აუცრის ყვავილს და გიმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა დ რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათს უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისთვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნლოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлъ, противъ памят. Ворон-

(წლ.

ტფილისი

◆ ქუთაისიდგან დეპეშა მოვიდა, რომ ბათუმის საბჭოს მიერ გამგეობის წევრად არჩეული გ. დ. ჟურული ბ-ნ გუბერნატორს დაუმტკიცებია ამ თანამდებობაზედ. გამგეობის ორ წევრთაგან (მდარე წევრი ბა-ნი ივანოვია) ერთი ქალაქის მოურავის მოადგილედ უნდა იყოს იმ შემთხვევისათვის, თუ ქალაქის მოურავი ბათუმიდან სხვაგან წავა ანუ თანამდებობის ასრულება არ შეეძლება, რაიმე მიზეზისა გამო და ს.ვ. დამტკიცება ქალაქის მოადგილისა საბჭოს ორშაბათისათვის გადაუდვია.

◆ გუშინ, 28 ივნის, საოსტატო ინსტიტუტის დირექტორმა სტრელეცკიმ მიიწვია მეორე ვაჟთა გიმნაზიის დირექტორი დრბოგლავი, მესამე დედათა გიმნაზიის დირექტორი ბოლოიავლენსკი, ხუროთ-მოძღვრები და სხვა გამოცდილ-განვითარებული კაცები. ამათ განიხილეს ხუროთ-მოძღვრის მიხეილოვის მიერ შედგენილი გეგმა შენობისა, რომელიც საოსტატო ინსტიტუტისათვის უნდა ააგონ დიდის მთავრის ქუჩაზედ ტფილისში. კრებამ მოიწონა გეგმა. შენობისათვის სამინისტროს გადაუდვია 100,000 მანეთი.

◆ პროფესორი ა. ხახანაშვილი 28 ივნის გაემგზავრა ქუთაისს, არქეოლოგიურის მიზნით. ქუთაისიდან 3 ან 4 ივლისს იგი წავა სვანეთს ერთის თვით.

◆ დღეს, 29 ივნისს, ნაშუადღევის $4^{1}/_{2}$ საათიდგან 10-მდე, საბავშო ბაღში სეირნობა იქმნება, რომელსაც გამართავს „ბავშვთა მფარველის" და მასწავლებელ ქალთა საზოგადო- [illegible] დაბექდილი. საბავშო ბაღი იუნკერთა მოედნის პირ-და-პირ არის, მიხეილის ქუჩაზე.

◆ ორშაბათს, 30 ივნისს, ავლაბრის სახალხო (ბ-ნ მურაშკოს) თეატრში ქართული სცენის მოყვარენი წარმოდგენასა მართავენ. წარმოდგენილი იქნება: „ორი დარაჯი", 3 მოქმედებიანი დრამა, გადმოკ. ფ. ქორიძის მიერ, „ჭკუისა მჭირს", ვოდევილი ა. ცაგარლისა და „ოინბაზი", მისივე ვოდევილი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

◆ ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსი ამ ზაფხულს მთხოვნელებს ინახულებს კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით, ნაშუადღევის 2 საათზედ.

◆ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სამმართველოს ამბავი მოსვლია კიშინევიდგან, რომ იქ უნდა გამოსცადონ ერთი ამერიკელისაგან მოგონილი ახალი მანქანა, რომელიც სიმინდსა სჭრის და კონებად აწყობს. ამ მანქანას დიდი მნიშვნელობა ექნება დასავლეთ საქართველოსა და მეტადრე გურია-სამეგრელოში, სადაც სიმინდის მეტი თითქმის სხვა არა ითესება-რა; ვისაცა სურს დაწვრილებითი ცნობები გაიგოს ამ მანქანის შესახებ, თავისი ადრესი სამეურნეო საზოგადოების გამგეობას გამოუგზავნოს.

◆ განსვენებულის თ-დ კონსტანტინე ივანეს ძე მუხრან-ბატონის ანდერძი, შედგენილი 24 მაისს 1897 წელს, ტფილისის ოლქის სასამართლოს დაუმტკიცებია. ყოველი კეთილშეძენილი და მამაპაპეული მამული განსვენებულს უანდერძნია თავის მეუღლისათვის, რათა მან ისარგებლოს სიკვდილამდე; თ-დ მუხრან-ბატონის მეუღლესვე უმტკიცდება საკუთრებად ყოველი მოძრავი ქონება და ნაღდი ფული განსვენებულისა. შემდეგ მოანდერძეს მეუღლის სიკვდილისა, ყოველი კეთილშეძენილი მამული განსვენებულისა, გარდა სანავთო მიწებისა ბაქოში, უნდა გუბერნიის მარშალმა გაჰყიდოს და მაზრების მარშლების თანხმობით გაუნაწილდეს იმ სასწავლებლებს, რომლებსაც თავად-აზნაურობა ინახავს თავის ხარჯით, ან შემწეობას აძლევს. ნავთის მიწები ბაქოში განსვენებულს უანდერძნია თ-დ დიმიტრი გიორგის ძე შერვაშიძესათვის იმ პირობით, რომ, განსვენებულს მუხრან-ბატონის სიკვდილის შემდეგ, სამი წლის განმავლობაში იმ დღიდგან, როდესაც თავადი შერვაშიძე ჩაიბარებს ამ მიწებს, ეს მიწები უნდა დაფასდეს ექსპერტების მიერ და, რაც ღირება იმის ნახევარი ნაღდ ფულად გადაეცის გუბერნიის მარშალს, რათა აღნიშნულს სასწავლებელთათვის გადადებულ თანხას მიემატოს.

◆ სახელმწიფო ქონებათა და მეურნეობის სამინისტრომ მისწერა აქაურს სამართველოებს, რომ ამას იქით სამინისტროში აღარა გზავნიდნენ მცირე მნიშვნელოვან საქმეებს, რომლებიც მკვიდრთა მოსახლეობას შეეხება, რადგანაც ამნაირ მიწერ-მოწერით საქმე გვიანდება და მოხელენი დროს უნაყოფოდ ჰკარგავენ. ამას იქით ადგილობრივ სამართველოებს მეტი უფლება ექმნებათ მინიჭებული სახელმწიფო მამულების განაწილებაში.

◆ სახელმწიფო ქონებათა და მეურნეობის მინისტრის რწმუნებულმა მედვედევმა შუამდგომლობა აღძრა, რომ მომრიგებელ შუამავლებმაც მიიღონ მონაწილეობა სახელმწიფო გლეხთა ყოფა-ცხოვრების მოწყობაში, რათა უფრო ჩქარა გათავდეს სახელმწიფო მამულების დანაწილება ტფილისისა და ერევნის გუბერნიებში.

◆ გუშინ-წინ კავკავიდან ფეხით ჩამოვიდნენ ტფილისს ეკატერინოდარის დედათა გიმნაზიის 15 მოსწავლე ქალი, მეთვალყურენი და მასწავლებელნი. გზა მშვიდობიანად და ხალისიანათ გამოუვლიათ, თუმცა კავკასიონის მთაზე წვიმას დაუსველებია. მხოლოდ ერთი ქალი ცოტად შეუმცივნია და, რადგანაც იმას ფეხით სიარული აღარ შესძლებია, ცხეთიდან რკინის გზით ჩამოუყვანიათ. ეს მოსწავლე ქალები ტფილისს დაათვალიერებენ და მერე ბათუმისკენ გაემგზავრებიან.

◆ სამოსწავლო ოლქის მზრუნველს მიუწერია ტფილისის გუბერნატორისათვის მიი- [illegible] ლომ სამის თვის ჯამაგირი (500 მ.) მისცეს სახელოსნო სასწავლებლის დირექტორად ნამყოფს ოჰანეზოვსაო, რადგანაც ქალაქი ნებაყოფლობით არ აკმაყოფილებს მომჩივანსაო.

◆ ამას წინად ტფილისის ებრაელთა საქველ-მოქმედო საზოგადოების გამგეობამ სთხოვა ქალაქის გამგეობას, შემწეობა აღმოუჩინოს ტფილისში არსებულ საზოგადოების სკოლას. ქალაქის სასწავლებელთა გამგე-კომისიამ ეს თხოვნა განიხილა 26 ივნისს და დაადგინა, 300 მ. მიეცეს ხსენებულ საზოგადოებას.

◆ მკითხველებმა იციან, რომ ტფილისის ქალაქის საბჭომ დაადგინა, რუსეთთან შეერთების სახსოვრად დააარსოს სამ-კლასიანი საქალაქო სასწავლებელი. ამ სასწავლებლისათვის საჭირო ადგილი გამოუნახავთ პოლიციის მე-9 ნაწილში, ნიკოლოოზის ქუჩაზე. ამ ადგილის დაათვალიერება მიენდო განსაკუთრებულ კომისიას.

◆ ხიდისთავის (გორის მაზრა) ბოქაულად ბ-ნ გოგოხიას ნაცვლად, რომელიც გორის მაზრის უფროსის თანაშემწედ დანიშნეს, დაინიშნა დ. თულაშვილი.

სამოქალაქო სასწავლებლების მასწავლებელთა კრების გამო.

12 თიბათვეს დასრულდა სამოქალაქო სასწავლებლების მასწავლებელთა კრება. დიდი საქმეო, ამბობდნენ რომაელები, თანხმობით კეთდება, უთანხმოებით-კი მცირე საქმეც იფუშება. სრული ჭეშმარიტებაა. შეერთებულ ძალას და შეთანხმებულ ღონისძიებას ბევრი რამ შეუძლიან. მოზარდ თაობის სწავლა-აღზრდის საქმე მეტად მძიმე და რთული საგანია. კერძო კაცის მოღვაწეობას ასეთს ძნელსა და რთულს საქმეში ცალმხრივი მნიშვნელობა აქვს; კერძო მოღვაწეობა თავის ზოგად დანიშნულებას ვერ აღწევს, იგი ყოველთვის სუსტი და უძლურია იმ სამძიმო ფერხულის ტრიალში, რომელსაც სწავლა-განადლების საქმეს ეძახიან.

სწორედ ამ მოსაზრებით წარსული მასწავლებელთა კრებები ღირს შესანიშნავ მოვლენად უნდა ჩაითვალოს აწინდელ სწავლა-განათლების მოწესრიგების საქმეში. კიდევაც ამ კრებებმა რომ სრულიად არ გაამართლოს თავის უახლოესს შედეგებით ის იმედი, რომელსაც სწავლა-განათლების მოღვაწენი მათზე ამყარებენ, ისეც კი დიდი საქმე, რომ სწავლა განათლების უმთავრესნი ხელმძღვანელნი

სწავლების სისტემის მოსაწესრიგებლად რჩევას ეკითხებიან მასწავლებლებს. სამოსწავლო მთავრობამ კარგად შეიგნო ის აზრი, რომ ყოველგვარი განკარგულების, ყოველგვარი ზომების მაცოცხლებელი ძალა ცხოვრების რთულ გარემოებაშია მჭიდროდ ჩაქსოვილი და მაშასადამე, რომელიმე ზომის მისაღებად აუცილებლად საჭიროა თვით ამ ცხოვრების მცოდნე კაცთა რჩევა და დახმარება, მხოლოდ ამ საშუალებით შესაძლებელია ნაყოფიერი მოქმედება, მხოლოდ ამ საშუალებით შესაძლებელია აწინდელი გართულებული ცხოვრების ალღოს აღება. აი, სწორედ ამ მხრითაა დიდმნიშვნელოვანი მასწავლებელთა წარსული კრება; ეს კრება სწორი და მარჯვედ გადადგმული ნაბიჯია სწავლა-განათლების რთულის ვითარების გასაგებად, გასაცნობად იმ დაბრკოლებათა, რომელიც მთავრობას წინ ელობებოდა მოზარდ თაობის სწავლა-აღზრდის დროს.

ოცდაათი წელიწადი შესრულდა, რაც სამოქალაქო სასწავლებლები აწინდელის სახით სწავლა განათლების საქმეს ემსახურებიან. ამ დროს განმავლობაში ცხოვრება შესამჩნევად შეიცვალა და გართულდა, ცხოვრებამ მრავალი საყურადღებო საქმეები წინ დაგვიდო, რომლის გადაწყვეტა აუცილებელი შეიქმნა, ამ დროს განმავლობაში თვით სწავლების სისტემამაც შესამჩნევად ფერი იცვალა და მაშასადამე, ყველა ამ გარემოების გამოკვლევა, გათვალისწინება და შესაფერი ზომების მიღება აუცილებლად საჭირო შეიქმნა, სამოსწავლო ოლქის მთავრობამ კარგად შეიგნო ეს გარემოება და კიდევაც მოიწვია საქმის მცოდნე კაცები, მასწავლებლები და მათის რჩევისა და აზრის გაგებით განიზრახა სამოქალაქო სასწავლებლების საუკეთესოდ მოწყობა, სწავლა-აღზრდის მხრივ. კრებამ მრავალი საყურადღებო საკითხები განიხილა, რომელთა საკეთილოთ გადაწყვეტას მეტად დიდი მნიშვნელობა ექმნება დასახელებულ სასწავლებელთა წინმსვლელობისათვის. ჩვენ არ გამოუდგებით ყველა ამ მრავალ საკითხთა აღნუსხვას, რადგანაც ეს ძრიელ შორს წაგვიყვანდა და მაინცა და მაინც ამ პატარა წერილის უახლოესი საგანიც არაა. ვიტყვით მხოლოდ, რომ კრება შეეხო ისეთს საკითხებს, როგორიცაა ხატვის, წერის და გალობის გაუმჯობესობა, კრებამ ყურადღებით და [illegible] საგნებრივს და საკლასო სწავლების სისტემის შესახებ, სასწავლებლებთან საერთო ბინების და პანსიონების დაარსების შესახებ, არა ნაკლების ყურადღებით მოისმინეს მოსაზრებანი იმის შესახებ თუ, როგორ უნდა მოეწყოს კლასის გარეშე წიგნების კითხვის საქმე, როგორ უნდა მოწესრიგდეს საკვირაო სკოლების და საკლასო ბიბლიოთეკების ორგანიზაცია, როგორ უნდა გაუმჯობესდეს მასწავლებელთა აუტანელი ნივთიერი მდგომარეობა და მრავალი კიდევ სხვა საკითხი. ყველა ზემოხსენებული საქმეები კრებამ დიდის გულსმოდგინეობით მოისმინა და გაითვალისწინა, და შესაფერი მსჯავრიც დასდო.

ჩვენ ამ მრავალ საკითხთა შორის ჯერ-ჯერობით მხოლოდ ერთს შევეხებით, რომელიც, ჩვენის აზრით, მეტად ცალმხრივად, საქმის შეუფარდებლად და საზიანოთ გადაწყდა. ხოლო სანამ ამ საკითხის გარკვევას შეუდგებოდეთ, გვსურს მკითხველის ყურადღება მივაქციოთ ერთს ძირითადს საგანს, რომლის ჯეროვანი გამოკვლევა, ჩვენის აზრით, მეტად საჭირო და სასარგებლო იქმნებოდა კრების დადგენილებისათვის, მხოლოდ კრებამ ამ ძირითადს საგანს სამწუხაროდ, სრულებით ყურადღება არ მიაქცია.

ამ ჟამად საერო განათლების სამინისტროს განზრახვა აქვს მთელს რუსეთის იმპერიაში მოახდინოს ძირითადი სასკოლო რეფორმა. აწინდელი სკოლების ორგანიზაცია უვარგისადაა ცნობილი და ამიტომ სამინისტრო ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობს, უახლოესსავე მომავალში, სასურველად განახორციელოს სასკოლო რეფორმა. უეჭველია, რომ განზრახული რეფორმა ამ ერთი ორი წლის განმავლობაში სავსებით დასრულდება, ჩვენი პირველ დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი ნასწავლებლები თავის დონეზე დადგებიან. მაშასადამე, სანამ სამინისტროს საბოლოოდ არ გადაუწყვეტია რომელიმე სკოლის ტიპი, სანამ საბოლოოდ ცვლილება არ მოუხდენია, შესაძლებელია დასაბუთებული მოსაზრება წარადგინოს ამა თუ იმ ტიპის სკოლების რეორგანიზაციის შესახებ, და სამინისტროც შეიწყნარებს ამ გვარ მოხსენებას და ადგილობრივ საჭიროებათა მიხედვით მოაწესრიგებს საქმეს.

სამოქალაქო სასწავლებლები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აწინდელის სახით ოც და ათი წელიწადია სწავლა-განათლების საქმეს ემსახურებიან. ამ ხანგრძივ დროს განმავლობაში უთუოდ ნათლად გამოირკვეოდა თუ, რამდენად დაამტკიცეს სამოქალაქო სასწავლებლებმა თავისი ცხოველმყოფელობა, რამდენად გიამართლა იმ სკოლებმა ის იმედი, რომელსაც მთავრობა და საზოგადოება მათზე ამყარებდა, რამდენად ნაყოფიერია ამ სკოლების ოც და ათი წლის მოღვაწეობა.

უპირველეს ყოვლისა კრებას ამ საგანზედ უნდა ჰქონოდა სჯა-ბაასი, რადგან დასახელებულ საკითხების ასე თუ ისე გადაწყვეტას ძირითადი მნიშვნელობა [illegible] ბა უტყუარის ციფრებით დაამტკიცებდა სამოქალაქო სკოლების აწინდელ ტიპის, ორგანიზაციის უნაყოფობას, უვარგისობას, საჭირო იყო მხოლოდ ახალის ტიპის სკოლების დაარსების შესახებ სჯა-ბაასი, საჭირო იყო კრებას მოეხდინა ისეთი დასაბუთებული დადგენილება, რომ სამოქალაქო სასწავლებლები აწინდელის ორგანიზაციით თავის პირდაპირ დანიშნულებას ვერ ემსახურებიან და ამიტომ ადგილობრივ მოთხოვნილებათა მიხედვით სასურველია ამა და ამ ტიპის სკოლა-თქო და სხვა. კრება თუ საფუძვლიანის განსჯის შემდეგ დარწმუნდებოდა, რომ სამოქალაქო სასწავლებლის აწინდელი ტიპი, აწინდელი ორგანიზაცია სასურველია და სასარგებლო, მხოლოდ ამ შემთხვევაში შესაძლებელი იყო ბაასი სწავლების სისტემის გაუმჯობესობისა და მასწავლებელთა ნივთიერად შევიწროებული მდგომარეობის განკარგების შესახებ.

კრებამ ამ მხრით არ გაითვალისწინა საქმის ვითარება და, ჩვენის აზრით, სწორედ ესაა კრების შეცდომა. ჩვენ ჯერ-ჯერობით ხელთ არა გვაქვს ყველა საჭირო მასალა, რომ აშკარად მომხრეობა ან წინააღმდეგობა გაუწიოთ სამოქალაქო სასწავლებლებს, ვიტყით ამ ჟამად მხოლოდ, რომ ამ სასწავლებლებში სწავლების საქმე მრავალის ზედ-მეტის ბარგით გართულებული და განუსაზღვრელია.

აწინდელი სამოქალაქო სასწავლებელი ყველაფერს ხელ ჰკიდებს, საზოგადო განთლებას, მეურნეობას, ხელოსნობას და სხვ. კეთილი. ვინ იტყვის, კარგი არ იყოს კაცმა, ერთსს და იმავე დროს საზოგადო განათლებაც მიიღოს, მეურნეობაც შეითვისოს, სხვადა-სხვა ცხოვრებაში გამოსადეგი ხელობაც შეისწავლოს, მაგრამ ყოველიყე ეს ერთად შესაძლებელია? ბევრის მდომი, ცოტასაც დაჰკარგავსო, ნათქვამია, და ვგონებთ ეს ანდაზა სამოქალაქო სასწავლებლებზედაც ითქმის. მრავალი სხვა უფრო დიდმნიშვნელოვანი უხერხულობაც თანა სდევს ამ სასწავლებლებს, რომლის შესახებ უადგილოდ მიგვაჩნია აქ ლაპარაკი; ვიტყვით მხოლოდ, რომ კრებას უპირველეს ყოვლისა ამ უხერხულებათა გათვალისწინებისათვის უნდა მიექცია უმთავრესი ყურადღება.

ესეც რომ არა ყოფილიყო, კრებას ყოველ შემთხვევაში მხედველობაში უნდა ჰქონოდა ის გარემოება, რომ სამინისტრო ამ ჟამად აარსებს ისეთს სასწავლებლებს, საცა შეგირდი დამთავრებულ საზოგადო სწავლას ექვსი წლის განავლობაში მიიღებს. ამ სასწავლებლების უფლებანი და უპირატესობანი გაცილებით უფრო ხელსაყრელი იქმნება შეგირდებისათვის, ვინემც სამოქალაქო სასწავლებლებისა. როგორი დამოკიდებულება ექმნებათ სამოქალაქო სასწავლებლებს ამ მომავალ ექვს-კლასიან სასწავლებლებთან? რამდენად სასარგებლონი გამოდგე- [illegible] ბი,—ეს სულ სხვა საკითხია, ხოლო ის კი აშკარაა, რომ მომავალი სასწავლებლები დიდ მეტოქეობას გაუწევენ სამოქალაქო სასწავლებლებს და ეს მეტოქეობა კი სამოქალაქო სასწავლებლების სასარგებლოდ არ დამთავრდება.

ჩვენის აზრით, მასწავლებელთა კრებას უპირველეს ყოვლისა უნდა განესაჯა სამოქალაქო სასწავლებლების აწინდელის სახით საზოგადო არსებობის საფუძვლიანობა, გაეთვალისწინებინა ამ სასწავლებელთა ოცდა-ათი წლის მოღვაწეობა და შემდეგ, შესაძლებელია, კრებას უფრო დიდმნიშვნელოვანი დადგენილება მოეხდინა, ვინემც ამ ჟამად დაადგინა.

დასასრულ, მოვიხსენიოთ ის საგანი, რომელიც კრებამ, ჩვენი აზრი მეტად ცალმხრივად განმარტა. შეგირდების „განსავითარებლად“ საჭიროაო,—ამტკიცებდა კრების განსაკუთრებული კომისია,—კლასს გარეშე წიგნების კითხვის საქმე მოეწყოს კარგადაო. კრების წევრნიც, რასაკვირველია, თანახმანი იყვნენ კომისიის ამგვარის აზრისა, მხოლოდ ზოგიერთნი ამტკიცებდნენ, რომ ადგილობრივ მკვიდრთა შვილებს რუსული ენა უძნელდებათ, რომ მათთვის გაუგებარია რუსეთის ცხოვრების აღწერა, და ამიტომ საჭიროა საკითხავი წიგნები ზოგი გადმოკეთებულ იქმნეს რუსულის ენიდან და ზოგი ადგილობრივ ენებიდან გადაითარგმნოს რუსულადო. თუმცა ეს მცირედი ცვლილება, შეგირდების გონების განვითარების საქმეს დიდ სამ ახურს ვერ გაუწევდა, მაგრამ კრებამ ამ ცვლილების პროექტსაც ყურადღება არ მიაქცია და მოიწონა კომისიის აზრი, რომლითაც სავალდებულოა შეგირდების „განსავითარებლად“ კლასს გარეშე საზოგადოთ რუსული წიგნების კითხვა.

კლასს გარეშე შეგირდებისათვის წიგნების კითხვის უმთავრესი,—და ჩვენის აზრით, ერთად ერთიც,—დანიშნულებაა შეგირდების განვითარება, შეგირდების ცოდნის შევსება და გამდიდრებაა. შეგირდის გონების საფუძვლიანად განვითარება შესაძლებელია განსაკუთრებით იმ ენაზე, რომელიც შეგირდს უფრო ეხერხება, უკეთ ესმის. ადგილობრივ მკვიდრთა შვილებისათვის ყველაზე უფრო გასაგები ენა, რასაკვირველია, ადგილობრივი ენებია, რომელზედაც საკმაოდ მოიპოვება საბავშვო საკითხავი წიგნაკები. თუ კი ბავშვი გაუგებარს ენაზე წაკითხულს წიგნის შინაარს ვერ შეითვისებს, ამ წიგნში ნაჩვენებ აზრებს ვერ შეისისხლ-ხორცებს, მაშ კლასს გარეშე წიგნების კითხვა როგორიღა გონების „განმავითარებელი“ საშუალებაა? ვინ იცის, მასწავლებელმა რამდენი შრომა და გაჭირვება უნდა გამოიაროს, რომ სულ უბრალო აზრი გააგებინოს შეგირდებს! რა საჭიროა ყველა ეს ვაი-ვაგლახი, როცა ადგილობრივის ენების საშუალებით ადვილად შეიძლება მასწავლებლებიც და შეგირდებიც დავიხსნად ასეთის წამებისაგან.

მასწავლებელთა კრების ხელმძღვანელი [illegible] ჯეროვან ყურადღებას საქმის ასეთს გარემოებას, ხოლო კრების წევრებმა რატომ კრინტი არ დასძრეს ამ საგნის შესახე,—ეს-კი გაუგებარია..

ა. ყუმისთაველი.

სამეცნიერო წერილები.

კუ.

(უკანასკნელი გამოკვლევა)

კუ ერთი უსაშინლეს სენთაგანია, რომლის წინააღმდეგ დღესაც არავითარი საშუალება არა გვაქვს მედიცინაში. ერთად-ერთი ხსნა ქირურგის დანაა; თუ კუ იმისთანა ადგილასაა სხეულში, რომ ქირურგის დანა მისწვდება და ამოიჭრა, ავადმყოფს შეუძლიან გადურჩეს ამ სენს, თუ არა და—აუცილებელი სიკვდილი მოელის.

მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ უფროს ერთ შემთხვევაში ამ გვარი ავადმყოფი მიმართავს ქირურგს მაშინ, როდესაც კუს შორს აქვს გადგმული ფესვები და უკვე მოწამლული აქვს გარემომო ჯირკვლები; ასეთს შემთხვევაში, რაც უნდა დახელოვნებული იყოს ქირურგი და რაც უნდა სუფთად ამოსჭრას კუ, ცოტა ხნის შემდეგ ხელმეორედ უჩნდება, დარჩენილ ფესვებიდან აღორძინდება. რამდენჯერ ჩვენ თვითონ გვქონია შემთხვევა, გვენახა, რომ დედა-კაცისთვის ამოეჭრათ ძუძუდან კუ, ხოლო, ცოტა ხნის შემდეგ კიდევ გასჩენოდა ეს სენი, რადგან იღლიის ჯირკვლები თურმე უკვე მოწამლული ჰქონია.

არ არის თითქმის ისეთი ორგანო ადამიანის სხეულში, რომელიც თავისუფალი იყოს ამ სენისაგან.

სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ ევროპაში კუთ გარდაცვალებულთა რიცხვი თან-და-თან მატულობს. ქალაქ ჰამბურგში სანიტარულ მდგომარეობის გაუმჯობესობის გამო ყოველ გვარმა სენმა იკლო, ხოლო კუთ ავადმყოფთა რიცხვმა არამც თუ არ იკლო, არამედ კიდევაც იმატა.

კუ ისეთი ავადმყოფობაა, რომელიც მხოლოდ ხანში შესულ ადამიანს აღმოაჩნდება როდესაც ადამიანი გადასცდება ორმოც წელს, მაშასადამე, სხეულის უჯრედებს აკლდება სიცოცხლის ძალა, აი, მაშინაა, რომ ასეთ სხეულის რომელსამე ორგანოს უჯრედებში ამოჰყოფს თავს კუ.

რისგან წარმოსდგება ეს საშინელი სენი, აქამომდე ჯერ ვერ არის კარგად გამოკვლეული მედიცინაში.

მეცნიერთა მომეტებული ნაწილი დღესაც იმ აზრისაა, რომ კუ მემკვიდრეობით გარდაეცემა შვილებს დედ-მამისგან.

ნაპოლეონ პირველი, როგორც ისტორია გადმოგვცემს, იმსხვერპლა კუმ, რომელიც კუჭში გაუჩნდა. ამავე სენით დაიხოცნენ ნაპოლეონის მამა, მისი ძმა ლუსიენი და დები პოლინა და კაროლინა. ამათაც, როგორც ნაპოლეონს კუ კუჭში გაუჩნდათ. მეცნიერი—ფრანგი Broca-ც დარწმუნებულია, რომ კუ მემკვიდრეობით გადადის; ამ მეცნიერს მოჰყავს ერთის გვარის ისტორია, რომელიც უეჭველად ამტკიცებს კუს მემკვიდრეობას: 1788 წ. ქალი Z. გარდაიცვალა კუს ავადმყოფობით: ნახევარი ყველა მისი შვილებისა, შვილიშვილებისა და შვილი-შვილის-შვილებისა დაიხოცა კუს ავადმყოფობით.

გამოჩენილნი მეცნიერნი Virchov და Cohnheim-იც იმ აზრისა არიან, რომ კუ მემკვიდრეობითი სენია.

ლიტერატურაში მოყვანილია ისეთი შემთხვევანი, საიდგანაც სჩანს, რომ კუ შვილებს იმ ორგანოში გასჩენიათ, რომელშიაც მამას, ან დედას ჰქონიათ.

ხოლო ისეთი მეცნიერნიც არიან, თუმცა მათი რიცხვი გაცილებით მცირეა, რომლებიც, უარჰყოფენ კუს მემკვიდრეობას და გადამდებ სენად სთვლიან.

ფელეტონი

შურდული

(საკვირაო გაზეთი)

XIII

ტფილისი, 29 ივნისს.

არა გვგონია, რომ კავკასიის ერთა შორის იყოს რომელიმე ისე უპატრონო და აბუჩად აგდებული ხალხი, როგორც ქართველები. ამის სიცხადეს კარგად ასაბუთებს შემდეგი გარემოება: ქართული მწერლობის ასპარეზზე ვინ გინდა, რომ არ დაჯირითობს და არა ჰლახავს ენას და მწიკვლს არა აცხებს მის სიწმინდესა. გაჩნდა მთელი ბრბო წიგნების გამომცემელთა, რომელთა გამოცემათაგან—ტფილისის იარმუკას ასებით აიმსო. ესენი ჰბეჭდავენ ყოველ ნაირ საძაგლობას. ამ მბეჭდავთა ცოდნა და განათლება ანბანას იქით არ გასცილებია. ასეთებია, მაგალითებრ, ვიღაც ს. შახბარათოვის ნაჯღაბი გამოცემანი, მაცაკანისა, აივაზოვისა, ზარგარიანისა და სხვათა მრავალთა.

ამ მოკლე დროში ბ. მ. ზარიძემ გამოსცა ლექსების კრებული, რომელშიაც უბრალო აშუღულს ლექსთა გვერდით დაბეჭდილია ლექსები ჩვენის საუკეთესო მოწინავე მწერლებისა. ეს ვაჟბატონები ამას არა სჯერდებიან და ბეჭდავენ თვით ქართულ-პედაგოგიურ წიგნებს და სხვა-და სხვა ენის სახელმძღვანელოებსაც.

მეტად საყურადღებოა და საჭირო რომ ასეთ უმეცართა ნაჯღაბნებსა და ნაბეჭდებს ქართულმა მწერლობამ ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს.

—

ფელეტონი

ხანჯალი და კალამი.

ხანჯალო, ვიცით, ბრძოლაში
მამაცი ხარ და გმირია;
გვიშველი, დაგვეხმარები
იქ, სადაც გასაჭირია;
მაგრამ ღალატსაც ელოდეთ,
თუ არ მოუწყეთ პირია.

—

მოხდება, მტრის მკერდს ვერ გაჰკვეთს,
ვერ ადენს სისხლსა ღვარადა;
ვერ დაგიფარავს,—თუმც იგი
გვერდს გარტყავს დამსხნელ—ფარადა:
ოხერი ვინმე შევხვდება,
მითვე გარდაგაქცევს მკვდარადა.

—

მაგრამ კალამსა, მშვიდს და წყნარს
ყველა ვერ შეეხებიან;
კალმისა ძალით სევდები
ჰქრებიან, იკურნებიან;
მისით დაჭრილნი, იცოდეთ,
უკურნებელნი ჰხდებიან.

—

კალამი ებრძვის მარადის
ბოროტსა, უსამართლობას;
ჩაგრულს ალაღგენს, მჩაგვრელის
ცდილობს უფსკრულში დამხობას;
ხალხში ავრცელებს: სიყვარულს,
კაცთა ერთობას და ძმობას.

—

მაშ შორს გავტყორცნოთ ხანჯალი,
უბრალოდ სისხლის მღვრელია;
თვითონ მოგვენახავს, როდესაც
იფეთქებს ბრძოლ ის ველია;
ახლა-კი კალამს მივმართოთ:
იგი ჭირთაგან მხსნელია.

გ. შინატეხელი.

—

ყურმოკრული საუბარი.

ერთ დღეს რაღაც კაეშნით შეპყრობილი მივიზლაზნებოდი სასახლის ქუჩაზედ. უცებ ცხარე კამათმა გამომარკვია ოცნებიდან. მიმოვიხედე და დავინახე, რომ რამდენიმე ქართველი ახალგაზდა მწერალი ჩვენი ქვეყნის ბედ-იღბალზე საუბრობდნენ.

— არა ძმავ, არა! თუ ოცნებით თავს არ იტყუებთ და რეალურად შეხედავთ ცხოვრებას, აშკარაა, რომ ჩვენ გარდა გადაშენებისა, ანუ უკეთა ვსთქვათ, ჩვენი ენის თავიდან მოშორების და სხვისი ენისა და კულტურის შეთვისების მეტი არა გვიშველის-რა. აქ სიტყვა გააწყვეტინა ერთმა და რაღაც საწინააღმდეგო მოსაზრება უნდა მოეყვანა, მაგრამ არ დააცალა მეგობარმა და განაგრძო: რა საჭიროა ამ საქმეში მეცნიერება და ფილოსოფია, როდესაც უფრო მარტივი მაგალითი თვალწინა გვაქვს: შეხედეთ ერთი ერის საუკეთესო წარმომადგენლებს, სტუდენტობას. ჩვენს ლიტერატურას სრულიად არ იცნობენ, იმიტომ, რომ იგი არ აკმაყოფილებს იმათ მოთხოვნილებას, ჩვენის წარსულის ისტორიისას ხომ ნურასა ჰკითხავთ იმიტომ, რომ არ იზიდავს იმათ ცნობის მოყვარეობას, ღვინო რა არის, ღვინო, ეს ქართველთა სატრფიალო „ნუნუა“,—ესეც არ მასწონთ და მხოლოდ „ოტკას“ ეტანებიან. ცხოვრება თავის გზით მიდის, ბატონო, იგი ჰქნის თავის ჭკუაზე ხალხს და მის გარემოებს. ჩვენც იმ მდგომარეობაში ჩაგვაყენა, რომ აუცილებელია „ასიმილაცია“, მაგრამ რა გინდა კარგი მთქმელი, თუ-კი კარგი მგონი არ გეყოლება!.. მახლას!.. დაათავა ამაყად სიტყვა მეგობარმა, წამოდგა და გასწია ალექსანდრეს ბაღისაკენ. მისი მეგობრები პირდაღებულნი მისჩერებოდნენ მეცნიერებით შეიარაღებულს მჭერმეტყველს.

გულმან არ მომითმინა და მეც ალტაცებით წამოვიძახე:

— ნეტავი იმ ერს, რომელსაც შენისთანა შვილები გამოუვა-მეთქი.

რ. გ—ია.

—

ჩვენებური ამბები.

სამეგრელო. აკი მოგახსენეთ, ახირებული ხალხია ძველი სენაკის „შუამავალ“ ამხანაგობის წევრები მეთქი. იმათ რომ ტრიფონ კალანდარიშვილის რჩევა დაეჯერებიათ (ცნ. ფ. № 2190) და ამხანაგობა დროით ახალ-სენაკს გადმოეტანათ, დღეს ამხანაგობის საქმე სანატრელს მდგომარეობაში იქნებოდა. ხუმრობაა, თქვე დალოცვილებო, ისეთი თანხის შეძენა, რომელიც ერგებოდა ჩვენს ამხანაგობას არალსენაკს 29 ამ თვეს დანიშნული ქიდაობის შემოსავლიდან!? ეს რჩევა-დარიგება, რომ მიგეღოთ, მაშინ წილსაც დაგიდებდენ, როგორც ეს უყვეს ახალ-სენაკის მრავალ-ტანჯულ ეკლესიას. მეტის მეტად დააშავა, მართალი უნდა ითქვას, მეტის მეტად, რომ ამხანაგობის გამგეობამ მაშინათვე, როგორც ეგ ბრძნული დარიგება იქნა გამოქვეყნებული, არ მოახდინა არა ჩვეულებრივი კრება ამხანაგობის წევრთა და ამხანაგობა არ გადაასკუპეს ახალ-სენაკს. ეხლო, როგორც გვამცნევს ტრიფონის ჰიგიენა, დამძიმებულს საზოგადო საქმეს ძალიანა რგებს ასეთს მალაყზე გადასვლა, თუ ტრიფონს არ დაუჯერებთ ბ. „პარ-ლასს“ ჰკითხეთ, როგორც მხცოვან, დარბაისელს და მზგავს საქმეში გამობრძმედებულს.

რეგა.

—

სამტრედია. „შურდულის“ რედაქციისა ყველა მადლიერია, რადგან ყველას შესაფერად ესარჩლება, მაგრამ ამ გაზეთმა ვერ მოიგო სამტრედიელ ვაჭართა გული. ესენი ერთობ იმდურებიან: ცა და ქვეყანა შეარხიეს და ჩვენ-კი ცალი სიტყვით არ მოგვიხსენიესო. მართლაც ეხლა უნდა იმათ მიშველება, თორემ საცოდავები სრულიად დაიღუპებიან აი მათი გასაჭირი:

აწ ორი კვირის წინად აქაურის ბოქაულის განკარგულებით მოხდა ვაჭართა კრება; ვაჭრებმა ღმერთი მოიგონეს და ნოქრები კვირაობით გაანთავისუფლეს ვაჭრობიდამ. განაჩენი ხელის მოწერითა თვისითა განამტკიცეს. საცოდავმა ნოქრებმა ძლივს თავისუფლად ამოისუნთქეს, იგემეს კვირაობით თავისუფლება. მაგრამ ვაჭრებმა ერთის კვირის შემდეგ მორთეს „იერემიადა“. „არ იქნა, ვინ ხართ ქრისტიანნი, დავიღუპენით, აღგვიდგენინეთ ისევ კვირა-უქმით ვაჭრობაო“.

გაჩნდა ტირილი, თავში ცემა, სამგლოვიარო ჰიმნიც-კი შეთხზეს და მთელი დღე გალობდენ, ვითარც ებრაელნი მას ჟამსა შინა მდინარეთა ზედა ბაბილონისათა.

მივარდნენ ბოქაულს, შეემუდარნენ.

— ეს ერთი სიბრიყვე გვაპატიე, ჭკუას ვისწავლით, ის ჩვენი ოქმი უნდა გავაუქმოთ, გავაბათილოთო.

მორჩა, გათავდა: 24 მაისს, სამშაბათს დღეს, ხელმოწერილი განაჩენი გააუქმეს.

იმ საღამოს სამტრედია გაჩირაღდნებული იყო; ორ ალაგას უკრავდა ორკესტრი, მესამე ალაგას გაჰკიოდა ზურნა და ვაჭრები „დავთუ-უტუზე“ ბუქნაობდნენ.

სამტრედიელ-ლანირელი.

—

საჩხერე. აქაც-კი გვყავს პირუტყვთა მფარველი საზოგადოება. უნდა მოგახსენოთ, რომ ძალიან პირნათლად ასრულებს თვის მოვალეობას ეს საზოგადოება: აქაურს მეეტლეებს ტყავ გამძვრალი და სამ-ფეხა ცხენები უბიათ ეტლებში, ზოგს ორთავ თვალით ბრმა ცხენები უბიათ, საცოდავები ოდნავ დაალოღიალებენ ეტლებსა ვაი ამათს გაჩენის.

—

ამას ვერ ვიტყვით უტყვებზედ. პირუტყვი... აჰ, უკაცრავად, პირუტყვებზედ მაქვს დაჩვეული ენა და უნებლიედ წამცდა... უტყვი

ეს აზრი იმ უკანასკნელ ხანებში თითქოს გაძლიერდა, მას შემდეგ რაც ზოგიერთმა მეცნიერმა აღმოაჩინა მიკროსკოპიული არსება კუთი მოწამლულ სხეულის ნაწილებში, რომელიც მათის აზრით, უნდა იყოს მიზეზი კუსი. ეს მიკროსკოპიული არსება წარმოადგენს მორგვალო მწვანე ფერის პაწაწკინა სხეულს. ეს მიკრობი შემდეგ ასე იცვლება: თან-და-თან იზრდება, ჰკარგავს თავის წინანდელ მოყვანილობას და ფერს; სამაგიეროდ გამოაქვს ძაფის მსგავსი თათები; სხეულს გულში ეხლა მრავალი პაწაწკინა უფერო მარცვლები უჩნდება, ასე რომ ეს სხეული წარმოადგენს მიკროსკოპიულ პარკს, მარცვლებით სავსეს, ეს მარცვლები ბრჭყვიალაა. აქვე მორგვალო-სხეულებიცაა, იმ მორგვალო სხეულთა მსგავსნი, რომელნიც თავში აგწერეთ.

გამოცდამ აღმოაჩინა, რომ ზოგიერთს შემთხვევაში შეიძლება მოვწამლოთ პირუტყვი ამ მიკრობებით და ამ გვარად შევყაროთ კუ.

აქვე უნდა დაუმატოთ, რომ კუს გადამდებობა დღეს ბევრს არა სწამს და უფრო, როგორც ზემოთაც ვსთქვით, მისი მემკვიდრეობით გადასვლა სწამს.

კუთი გახდება ავად, ადამიანის გარდა, პირუტყვიც: ცხენი, ძაღლი, და რქიანი საქონელი

კუ უფროს ერთ შემთხვევაში ადამიანს უჩნდება საჭმლის მოსანელებელ ორგანოებში: კუჭში, საჭმლის სადენ მილში, ენაზედ, ღვიძლში, ნაწლევებში. მამა-კაცი უფროხშირად ხდება ავად, ვიდრე დედაკაცი, ხოლო დედაკაცებს-კი საშვილოსნოში და ძუძუში აჩნდება განსაკუთრებით.

კუ შეიძლება განზედაც გაჩნდეს უფრო ხშირად-კი ტუჩებზედ. კუ თავდაპირველად ჩნდება როგორც სიმსივნე—მუწუკი, მერმე-კი თან-და-თან იხრწნება, წყლულდება, მისი პაწაწკინა ნაწილები სისხლს მიაქვს აქედ-იქიდ, სწამლავს გარეშემო ჯირკვლებს, შემდეგ მთელს სხეულს და ავადმყოფი ლევს სულს დიდ ტანჯვა—ვაებაში.

გამოუთქმელ ტანჯვაშია ავად-მყოფი, როდესაც კუ კუჭის შესავალთან არის, მაშინ ავად მყოფი შიმშილისაგან კვდება, რადგან კუს სიმსივნე ნებას არა აძლევს საჭმელს ჩავიდეს კუჭში; ამასთანავე ავად-მყოფს საშინელი ტკივილები სტანჯავენ. თუ კი კუს სიმსივნე ისეთ ადგილას არის კუჭში, რომ საჭმლის მიღებას არ უშლის ავად-მყოფი მუდმივ ტკივილების გარდა, საჭმლის მოუნელებლობით სწვალობს, რადგან კუს გავლენით კუჭის წვენის თვისება იცვლება, მას აკლდება შესაფერი სიმჟავე. რასაკვირველია, ესეთი კუჭის წვენი ვეღარ ანელებს საჭმელს. ამას ისიც დაუმატეთ რომ ავად-მყოფს ხშირ-ხშირად ასაქმებს პირიდგან. პირიდგან ამონაღები, ყავის ფერია.

უფრო კიდევ საშინელი ტკივილები აქვს დედაკაცს, როდესაც მას საშვილოსნოში უჩნდება კუ და უწყლულდება.

ეს სენი მით არის საშინელი, რომ თვით ავად-მყოფმა იცის რა ბოლო მოელის, იცის რომ შველა არა აქვს, და ეს კიდევ უორკეცებს ტანჯვას.

კუით ჰხდებიან ავად როგორც მდიდარნი, ისე ღარიბნიც, მაგრამ ეს კია, რომ ლოთებს უფრო ხშირად უჩნდებათ. ზოგიერთი მეცნიერთა აზრით, იმ ორგანოში უფრო გაჩნდება კუ, რომელიც მუდმივ მექანიკურ გაღიზიანებაშია, მაგალითად: ზოგის აზრით, იმას, ვინც გამუდმებით ჩიბუხს ეწევა, შეიძლება ტუჩზედ კუ ამოუვიდეს.

ვერც ერთი ჩვენთაგანი დარწმუნებული არ უნდა იყოს, რომ სიბერეში მას კუ არ გამოუვა რომელსამე ორგანოში.

უკანასკნელ სამედიცინო ჟურნალებში აღწერილია ბევრი შემთხვევა, საიდგანაც სჩანს, რომ რენტგენის უხილავ სხივებს საუცხოვო გამკურნავი თვისება ჰქონია იმ კუზედ, რომელიც ადამიანს კანში უჩნდება. მოკლე ხანში, რამდენიმე სეანსის შემდეგ, ამ სხივების გავლენით კუს სიმსივნე ქრება, კანი, რომელზედაც კუ იყო ამოსული, ჯერ წყლულდება და მერე-კი პირს იკრავს და სრულებით საღი კანი ჩნდება. რენტგენისვე სხივების გავლენით ჰქრება ისეთი კუც, რომელიც კანზედ-კი არა,—კანში ღრმად ზის.

დარწმუნებული ვართ, რომ მალე იმ დღესაც მოვესწრებით, რომ შინაგან ორგანოთა კუს მორჩენა შეგვეძლოს.

ექიმი ბ-ღრიძე.

ჩვენებური ამბები

სოფ. საგარეჯო. ამ რამდენისამე ხნის წინად აქეთ ერთი საზარელი საქმე კიდევ მოჰხდა: მდინარე იორიდგან მეხრეებმა მკვდარი კაცი ამოიღეს. ეს კაცი სოფ. ნინოწმინდის მცხოვრები ს. მღებრიშვილი აღმოჩნდა. შეატყობინეს მაშინვე მის შინაურებს. მკვდარს წყალში დამხრჩვლის ნიშნები არა ჰქონდა. ეტყობოდა რომ მოეკლათ და მკვდარი ჩაეგდოთ წყალში. ეს ამბავი აცნობეს ადგილობრივ მმართველობას, რომელმაც გამოძიება მოახდინა. მღებრიშვილის გვამი გასჭრეს; აღმოჩნდა, რომ კაცის ხელით იყო მოკლული და მერე ბოროტ-მოქმედების დასაფარავად წყალში ჩაგდებული. მისი მოკვლის ეჭვი სოფ. ნინოწმინდის მცხოვრებ ე. კ—შვილზედ მიიტანეს. ამ ეჭვის მიზეზად შემდეგი წინად მომხდარი ამბავი გახდა.

ამ ორიოდე წლის წინად ე. კ—შვილს ცოლი შეურთავს, როგორც ხმა დადიოდა იმავ ქალზედ თვალი სჭირებოდა ს. მღებრიშვილსაც. გასულ შემოდგომაზედ ე. კ—შვილი მძიმე ავადმყოფი შეიქმნა: ჭკუაზე და შეირყა. აქაურ ჩვეულებისამებრ ხან ერთ მკითხავს მიუხდნენ და ხან მეორეს—გაგვიგე რომელ ხატისაგან არი ასეო. რასაკვირველია ზოგმა თელეთი უთხრა, ზოგმა ღვთაება, ზოგმა ყვავის წმინდა გიორგი და სხ. დასასრულ ერთ „მისანთანაც“ მივიდნენ სოფ. პატარძეულში. მან ასე უმკითხავა ე. კ—შვილს: შენ ს. მღებრიშვილს ჯავრისაგან მოუწამლვიხარო. ეს სიტყვები მას ორჯერ-სამჯერ მერეც უთქვამს. აი, ეს არის მიზეზი, რომ ეჭვი ე. კ—შვილზედ მიაქვთ: იქნება გულ-გაბოროტებულმა ბილო და გამოასალმა წუთი-სოფელს ეს ახალგაზრდა ბიჭიო.

საქმის ადგილობრივ გამოძიებაზედ მკითხავეც დაიბარეს. მან სახალხოთ აღიარა—მე ვუთხარ და სწორედ ეგრეც არის: ე. კ—შვილი მღებრიშვილმა მოსწამლაო. ეს საქმე ტფილისის სასამართლოში განსაჩივრდა. მკითხავიც ამ ივნისის ცხრას ტფილისში ჩამოაბრძანეს ჩვენების ჩამოსართმევად. როგორ მიდის ამ საქმის წარმოება ჯერ ვერ შევიტყეთ.

ეხლა ცოტა ამ პატარძეულის „მისანზედ“ ვილაპარაკოთ. არც თელეთ-ღვთაებას და არც ერთ ეკკლესიას იმოდენი მლოცველი არა ჰყავს, რაც ამ მკითხავს. დალოცვილს, თითქოს განგებ, ზედ შარა გზაზედ აქვს სახლი. ვისაც ჰსურს გარე-კახეთ-ფშავ-ხევსურეთის ტიპები ისე ნახოს რომ ბევრი ხეტიალი არ დასჭირდეს, წავიდეს სოფ. პატარძეულში და „ათ-შაურიან“ მკითხავის სახლი იკითხოს; მის სახლის კარებთან ცოტა ხანს შეიცადოს და თითქმის ნახევარ საქართველოს წარმომადგენელთ სწორედ აქ შეჰხვდება. ეს „ათ-შაურიანი“ მკითხავი ანდამატისავით იზიდავს ხალხს. იმ დღეს იორი ისე იყო ადიდებული, რომ კარგი ვაჟ-კაცი ძლივს გაჰბედავდა გადავლას; წვიმა კოკისპირულ ასხამდა. აი, ამ ღვარცოფში ორი დედა-კაცი და ერთი კაცი შეჰსხდარიყვნენ ცხენებზედ და სართიჭალიდან პატარძეულში მკითხავთან მიდიოდნენ. საბრალონი კინაღამ იორმა არ დაახრჩო.

რ—ო.

—

ხაშმი (გარე კახეთი). ხაშმს ერთი საწყალი ბიბლიოთეკა აქვს, ლამის ესეც დაეკეტოს. აქაურს ახალგაზრდობას რამდენჯერმე მოუვიდა უწყება,—გვაცნობეთ თქვენი ბიბლიოთეკის ვითარებაო. არავინ ყური არ გაანძრია,—რა ჩვენი საქმეაო; ვინც უნდა მოვიდეს და თუნდ ანგარიში გააკეთოს და თუნდ ჯანაბა და დოზანაო. ერთმანეთს ისე უგდებენ ჯერს თითქოს ამათ ბიბლიოთეკისათვის სპარსეთის შაჰი შეიწუხებდეს თავს. ეხლა სოფლად ამ ბიბლიოთეკისათვის გულშემატკივარი დ. ნახუცრიშვილი ჩამოვიდა და იმედია ის დააყენებს ისევ გვარიანად საქმეს.

რ—ო.

რუსეთი

აარკოვის გაზეთებში გამოქვეყნებულია ხარკოვის გუბერნატორის სავალდებულო დადგენილებანი. უმთავრესი მუხლები ამ დადგენილებათა შედეგია:

1. აღკრძალულია ყოველნაირი სასროლ იარაღის ტარება პოლიციის განსაკუთრებულ ნებადაურთველად.

2. აღკრძლულია ცივი იარაღის ტარება—სატევარის, მალულ დანიან ჯოხების, დანების, ქვის სასროლ შურდულების, საზოგადოთ ყველა იმ იარაღებისა, რომელთა შემწეობით შეიძლება კაცის მოკვლა და დამავება.

3. აღკრძალულია სროლა მოედნებსა, ქუჩებსა და ეზოებში.

4. იარაღით მოვაჭრეთ უნდა ჰქონდეთ განსაკუთრებული დავთრები, სადაც ვალდებულნი არიან აღნიშნონ, ვის რა იარაღი მიჰყიდეს.

5, ქარხნების, ფაბრიკების, სახელოსნოების პატრონები, მოიჯარადრენი და მმართველები, აგრეთვე მუშების სტაროსტები ვალდებულნი არიან სასტიკად ადევნონ თვალ-ყური, რომ მუშებში არ გამოერიოს ისეთი პირები, რომელნიც ავრცელებენ სხვა-და-სხვა ნაირ ხალხის ამღელვებელ და მშვიდობიანობის დამრღვევ მოძღვრებათა. თუ ამისთანა კაცს შენიშნავენ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინონ პოლიციას, იმავე დროს ეცადონ დამნაშავე არ დაიმალოს, უნდა შეკრიბონ მის წინააღმდეგ საბუთები. ასეთი საბუთებია—აღკრძალული წიგნები, ხელნაწერები და სხვ.

6. აღკრძალულია მოსალოდნელ არეულობის შესახებ ხმის გავრცელება, არეულობათა შესახებ განცხადებების გაკვრა და წერილების გაგზავნა.

7. აღკრძალულია ფულის შეგროვება, ლატარიის გამართვა სხვა-და-სხვა მიზეზით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მთავრობისაგან ნებართვაა აღებული.

8. უძრავ ქონების პატრონები ვალდებულნი არიან იყოლიონ ღამის დარაჯებათ ისეთი პირები, რომელნიც პოლიციისაგან ცნობილი იქნებიან სანდო პირად ამ მოვალეობის აღსასრულებლათ. თუ პატრონი არ დაიქირავებს დარაჯს, მაშინ პოლიცია თვითონ დააყენებს მემამულის ხარჯით.

9. მეეზოვების, შვეიცრების და დარაჯების დათხოვა სახლის პატრონებს შეუძლიანთ მხოლოდ პოლიციის ნებართვით. თუ პოლიცია ამა თუ იმ მოსამსახურეს არ იცნობს სანდო პირათ, პატრონი ვალდებულია დაუყონებლივ დაითხოვოს იგი.

26. ზემო დასახელებულ სავალდებულო დადგენილებათა დამრღვევს გუბერნატორი ადმინისტრაციული წესით დააჯარიმებს 500 მანათ., ან 3 თვის დაპატიმრებით.

— სამკურნალო საკრებულოში შეუდგნენ სააფთიაქო დებულების გადასინჯვას. ახლა ეს მუშაობა გადაიდვა სხვა დროისათვის, რადგან არ მოუკრებიათ ცნობები ფარმაცევტიულ კორპორაციებისაგან და რადგან ახალ ფარმაცევტიულ დებულების შედგენაში ნაკლებად ღებულობდნენ მონაწილეობას სააფთიაქო საქმის მცოდნე პირები.

— ვ. გოლუბევმა შესწირა 150,000 მანათი რუსეთის ლიტერატორების და არტისტების თავშესაფარის მოსაწყობათ.

— მაქსიმე გორკიმ დასწერა სამ-მოქმედებიანი პიესა, სადაც გამოყვანილია სამი გმირი: გადაშენების გზაზე მდგომი არისტოკრატი, დემოკრატი და ბურჟუა.

— რუსეთის მრეწველობის და ვაჭრობის დამხმარებელ საზოგადოებაში აღიძრა კითხვა იმის შესახებ, რომ გამოსცენ ხალხისთვის ხელ მისაწვდენი წიგნი, სადაც აწერილი იქნება ყოველგვარი კოოპერაცია, ახსნილი იქნება ამხანაგობათა მნიშვნელობა და მათი მოწყობა. ასეთ წიგნაკს გაუგზავნიან საერობო დაწესებულებას და უფასო სამკითხველოებს ხალხში დასარიგებლად.

უცხოეთი

სერბია. სერბიის გაზეთობა აღნიშნავს სხვა-და-სხვა დასთა შორის განახლებულ ბრძოლას. ზომიერ რადიკალოა დასი სცდილობს ავაკუმოვიჩის სამინისტროს დაცემასა და მის მაგივრად თავიათნ დასის გაძლიერებას გაზეთები მოუწოდებს დასთა ხელმძღვანელთ, რომ თავიანთი კერძო ანგარიშები უკუ აგდონ და საერთო სახელმწიფო საქმეს შეუდგნენ სამინისტროს მოსალოდნელ კრიზისსა და მის შედეგზედ იტყობინებიან: კრიზისი გამოწვეულია დასთა ყველა მეთაურების კრებისაგან, რომელიც შესდგა სკუპშჩინის მღელვარე ყრილობის შემდეგ. ზომიერი რადიკალნი დასთანხმდნენ სკუპშჩინის დათხოვნას იმ პირობით, რომ შესრულებული იქმნება მთავრობის დაპირება, საზოგადო მმართველობაში აღდგენილ იქმნება კანონიერი წესი, ხოლო საოლქო ან სამაზრო პრეფექტის თანამდებობათა შეცვლის დროს ანგარიშში იქმნება მიღებული ზოგჯერ რადიკალთა სურვილიც. თუმცა ეს პირობა ძლიერ უახლოვდებოდა ძველ რეჟიმის პოლიტიკას, მაგრამ ავაკუმოვიჩის სამინისტრომ დათმობა ამჯობინა იმ პასუხის გებას, რომელიც მოსალოდნელი იყო სკუპშჩინის დათხოვნის გამო წინააღმდეგ სკუპშჩინის უმრავლესობისა. რადიკალთა დასის ჩოჩქოლსა და აღელვებას შესცვლიან სხვა დასებთან მოლაპარაკებაზე მომავალ კავშირის შესახებ. ზომიერი და უკიდურესი რადიკალები არჩევნების დროს ერთმანეთისაგან დამოუკიდებელნი იქმნებიან და ისე წამოაყენებენ თავიანთ კანდიდატებს. ამ ორ დასთა შეერთება არ მოხდა, რადგან უკიდურესნი თხოულობდნენ პაშიჩისა, ვუიჩისა, ველიმიროვიჩისა და გერშიჩის თავის დასიდგან გამორიცხვას. რაკი უკიდურეს და ზომიერ რადიკალთა შორის განხეთქილება ჩამოვარდა, ლიბერალებმა და ნაპრედნიაკებმა თავი გაანებეს თავიანთ განზრახვას,—შეერთებულიყვნენ ზომიერ რადიკალთა მომხრეებთან და მხარი დაეჭირათ მათთვის,—იმ აზრით, რომ შემდეგ მათს ბედ-იღბალს მომავალი არჩევნები ნათლად გვიჩვენებსო. როგორცა სჩანს, ყოველი დასი არჩევნებში ცალკ-ცალკე გამოვა.

— ზომიერ რადიკალებმა გამოაქვეყნეს მანიფესტი და აცხადებენ,—ახალი რეჟიმი დასასრულია 30 წლის ბრძოლისა, რომელსაც ეს დასი ეწეოდა პირად თვით-ნებობის წინააღმდეგაო. ახალ მეფის პიროვნება თავმდებია იმისი, რომ ჩვენს ქვეყანაში ეხლა დაწესდება კონსტიტუციონური და პარლამენტარული მმართველობა. აი, სწორედ ამისთვის იბრძოდა რადიკალთა დასი და პირველი ნაწილი მისი პროგრამისა უკვე განხორციელდა. ეხლა აუცილებლად უნდა მივჰყოთ ხელი პროგრამის მეორე ნაწილის განხორციელებას: შევუდგეთ ჩვენის ქვეყნის ეკონომიურ და ფინანსიურ აღყვავებას და დავუბრუნოთ მისს სა-

---

პირუტყვები... ფუჰ, დასწყევლოს ღმერთმა!.. უტყვები სულ ქაღალდს შეექცევიან. ბაქოურ ჟულიკ-მოთამაშეებს აქაურებისათვის შეუტყობინებიათ, რომ ვინც საუკეთესო ჟულიკობას შემოიღებს ქაღალდის თამაშობაში, იმას ოქროში მოჭედილს „ბუბნის-ტუზს“ გამოუგზავნითო. ამიტომ აქეთ ჩვენ ვაჟ-ბატონებს დიდი ფაცა-ფუცი შეუდგათ.

—

მართლა, აქ ერთი საყურადღებო საქმე იწყება. ტფილისში გამოფენა რომ იყო, იქ სურდათ ერთნაირი „უტყვები“ ეჩვენებინათ, მაგრამ მაშინ ვერ მოასწრეს. ეხლა თვით აქ, საჩხერე-ჭიათურა და მის მიდამოებში იქნება იშვიათი გამოფენა: უნდა გამოჰფინონ თავი მსმელი კაცები სვირულის, ცოლიკაურისა და ლეჩხუმ-რაჭულის და სხვათა, და სხვათა, და სხვითა ღვინოთა. კომიტეტიც შესდგა... რა გვარად გამოჰფენენ, ე. ი. რუმბებზედ დააწვენენ, თუ შიგ ჩასხმენ, ამას შემდეგში შეგატყობინებთ.

ათინაშვილი.

—

ეპიზოდი ყველასაგან ცნობილის „ტერმინისტის“ თ.—ას ცხოვრებიდამ.

(სამეცნიერო წერილი.)

დღესა ერთსა აღსდგა სარეცელისა თვისისაგან „ტერმინისტი“ ვინმე და ჩაიცვა ილეგი 1), ზედვე გარდაიცვა ჯუბა 2), მოიხურა გვაბანაკი 3) და ქუქუნა 4), ფეხი ჩაჰყო სატუცავში 5), დაჯდა ჯაგვს 6) ზედა და გაემართა ოკათუეშისაკენ 7) იწყო გლარჯმილას 8) სმა და მუნვე მოისმინა მუტრიბთა 9) კვრა, არ მოეწონა და მისცა სიცხე. ხოლო დაბრუნდა სახლსა შინა თვისსა და გაიზომა სიცხე იყლიმით 10), დაიდვა შუბლსა ზედა მტლე 11)—არ მოუხდა!.. მირთვა ტაბუცუნი 12)—არც ეს მოუხდა!.. მიირთვა თერმონია 13) მორჩა და განიკურნა ყოველივეამ ქვეყნიურ მწიკვლისა 14) და ბიწიერებისაგან.

ვითომ და პუბლიცისტი. ივ. მჭ.

—

ნარევ-ნაკვეხ-გასართობი.

ერთი კაცი გარდაიცვალა წყალ-მანკისაგან. საცოდავი ერთობ გაიბერა, კუბოს თავი ვეღარ დახურეს. კისტომ დაინახა, რომ წვალობენ და კუბოს თავს ვერა ხურავენ.

— ვა, შე ოხერო, რას იბერები, შენს მეტი არავინ მომკვდარაო!..

—

ერთი იმერელი თავადი ამერელს თავადს ეწვია. იმერელს თან ახლდა მოურავი. სტუმრებს ჩაი მოართვეს. მოურავმა დალია ერთი, მოართვეს მეორე, მეორეს მოჰყვა მესამე, მესამეს მეოთხე ჭიქა. მოურავმა ვეღარ მოითმინა და უთხრა ჩაის მომტანს:

— შენ ნუ მომიკვტე, ქე გამხეთქენ ამდენი სმითა.

ბიჭმა უთხრა:

— თუ აღარ გინდა, ჭიქა საინზე მოაპირქვევე და აღარ მოგართმევთო.

მოურავი ასე მოიქცა და გადარჩა განსაცდელსა.

მეორე დღეს სადილად მოურავიც მიიწვიეს. სადილზე სხვათა შორის ლობიოც მოართვეს. მოურავმა მიირთვა კოვზი ლობიო შეჭამანდსა, რამდენიმე კოვზი შეჭამა და სთქვა:

— ცუდად არის ჩემი საქმე, წუხელის ჩაიმ კოლოტივით გამხადა, ეს ლობიო სულ მთლად გამხეთქსო, ადგა და ლობიოს საინი სუფრაზე მოაპირქვევა.

არონა.

—

დეპეშები.

(ცაცხის დეპეშათა სააგენტოდგან).

27 ივნისი.

ბაქო. ბაქოს ერთმა უბახმა „ჩერნომორსკი ვესტნიკის“ სულის ჩამდგმელი პალმისაგან საჩქარო დეპეშა მიიღო; იწერება: „ვინც ენკენისთვის დამლევამდე სამაგალითო ჭორსა და „დონოსს“ შეთხზავთ ჩემი გაზეთის მასალად“, გრინმუტის გახუნებულ ხრიკებს მიიღებთ პრემიადაო. „დონოსები ქუთაისის „ვექილ-აბლაკატებს“ დავავალე, ჯორი—გორელებს და თელაველებსო“... ამ ჟამად ბაქოს ჭორების „უსტაბაშ-კამანდირები“ საავარაკოდ არიან წასულნი, აგვისტოს დამლევამდე დაბრუნდებიან ბაქოში და იმედი გვაქვს, რომ პრემიაც მათ ერგებათ.

იქიდგანვე. „ქართულ სახელით“ უკანონოდ მონათლულმა მკერვალიშვილს „დღევანდელმა ბიბლიოთეკა-სამკითხველომ“, რომელსაც დაბადებიდგან ქარ-ფილენჯი სჭირდა, თქვენი ჭირი წაიღო. ნამეტანი ჯავრისაგან „ხაზეინი“ მკერვალიშვილიც გადაიკარგა. ბაქოს ქართველობის ერთი ნაწილი, რომელსაც ყველგან და მუდამ მკერვალიშვილის „ლანდიც-კი აშინებდა, ძალიან გაიხარა ამ ამბავმა და დიდი მეჯლიშიც გადიხადა „ბუფში“... ბიბლიოტეკას „ბალახნის“ „მაზუთში“ ასაფლავებენ. სასაფლაოს გაკეთებ-გათხრა ინჟინერ ხაუისოვს მიანდვეს... დასაფლავება-ქელეხი მოხდება 29 ივნისს. მიპატიჟებული არიან ბაქოს „ბალა-ბალა„ საზოგადოება, პალმი და გრინგმუტი, უკანასკნელები წაიკითხავენ „რეჩს“. მიცვალებულს მიაცილებენ „გიტარა-მანდოლინით“. სამგლოვიარო მარშის მაგიერ დაუკვრენ „ახალ მოდის ქესტს„... ქელეხისათვის ამზადებენ ტკბილ-ტკბილ საჭმელებს: პილპილ მოყრილ სკიპიდარს. მაზუთს და ბენზინს. ოფენტობა და ეკანომ-განკარგულებლობა იკისრა ნავთის მწარმოებელთა ქართველმა მოურავებმა

(„შურდულის“ დეპეშათა სააგენტო)

28 ივნისი

მანგლისი. დიდძალი გიმნაზიელი მოვიდა საავარაკოდ. გარეგნობით ძნელად გამოსაცნობია, თუ რა ჯურის ხალხია: ძალალ-ყელიანი „ლაკიროვანი“ ჩექმები, ვიწრო მოჭერილი შალვარი, მოკლე და ვიწრო „ბლუზა“, რომელიც სარტყლამდე ძლივსა სწვდება, პაწაწკინტელა ქუდი გვერდზე, ცალხელში მათრახი (ხლისტი), მეორეში—პაპიროსი; თითებზე ნაირ-ნაირ ძვირფას თვლებით მოოჭვილი ბეჭდები; ამბობენ, ცხენოსან პოლკის „ვოლნოპრედელიაუშჩად“ ემზადებიანო.

ყვირილა. თეატრი დამთავრდა. წარმოდგენების სეზონი მალე დაიწყება. ანტრეპრენიორობა, რასაკვირველია, ბ-ნ მ. გაჩეჩილაძესა და ბ-ნ არდიშვილს (მეგობრები არიან) უკისრნიათ; როგორც სარწმუნო წყაროებიდან შევიტყეთ, რომ ვეტცელის თეატრის მსახიობთა გუნდს იწვევენ ცნობილ ივანოვის (აი, მესხიშვილის სასარგებლოდ რომ ჰმართავს წარმოდგენებს და ანგარიშს არ იძლევა) თაოსნობით.

ქალაქის საბჭო. ხმოსანთა კრებაზე ერთმა „მამათაგანმა“ განაცხადა,—რადგან სიცხის დაჭერას აპირობს, ურიგო არ იქნება მთავარეზე გავგზავნოთ კაცი და ვთხოვოთ ამ „დამწვართ იმედს“, რომ არ მოგვაკლოს ავდარი, თორემ ჩვენი ქუჩები მოურწყავი დაგვრჩებაო. ეს აზრი ყველამ მოიწონა, მხოლოდ არ იციან რა გზით გაჰგზავნონ შიკრიკი,—რობის ფუნიკულერით, თუ ავჭალის კონკით.

საჩხერი. სწავლა-განათლების საქმეში ყრუ საჩხერელთ დიდი მხნეობა და სიბეჯითე გამოიჩინეს კუჭის საქმეში:

დაარსდა საზოგადო საყასბო; ყასაბი ანტონ თუშიშვილი „ჰხის მტირალი წყლისა (ყვირილის) პირსა“ და მოსთქვამს, ვითარცა „ასული ისრაელისა“. მოზარედ მისდგომიან ალავანო და ალა-ეფრემ.

ქუთაისი. მოლაყბეთა პალატა. ხანგრძლივ კამათის შემდეგ გადასწყდა,—განდევნილ იქმნას სამშობლოდგან ზდანოვიჩი, რომელსაც თურმე მარყუჟი წაუჭერია ყელში შავი-ქვის მრეწველთათვის; არჩეულ იქნბა დროებითი მართველობა, როგორც სერბიაში.

სოხუმი. სოხუმლებს უნდოდათ თავის მაგივრად ტომარა გამოეგებათ, მაგრამ ტომარა არ დაჰყაბულდა,—თავობას ვერ გაგიწევთო და ისევ გუდა გამოიბით თავის მაგივრადო.

ჭიათურა. ამ დღეებში აქაურმა ანტრეპრენიორმა მთელი მატარებელი დაიქირავა სუტ-არტისტების გადასაზიდად. რესტორანის და დუქნების პატრონები სიხარულით ფეხზედ აღარ სდგანან.

—

განცხადება

სარგებლით ვაძლევ ფულს უვექსილოდ. მოვალეს ვართმევ მხოლოდ მამა-პაპეულის წესისამებრ ერთ ბეწვს ულვაშისას. ადრესს თქვენ თითონ მიხვდით. *)

(27—6—1)

რედაქტორ-გამომცემელი ია ერაძე.

---

1) ილეგი ნიშნავს ჟილეტსა.
2) ჯუბა—პიჯაკი.
3) გვაბანაკი—პალტო.
4) ქუქუნა—წამოსასხამი.
5) სატუცავი—კალოში.
6) ჯაგვი—დროშკა.
7) ოკათუეში—ბულვარი.
8) გლარჯმილა—პაპიროსი.
9) მუტრიბნი—მემუსიკენი.
10) იყლიმი—ტერმომეტრი.
11) მტლე—კომპრესი.
12) ტაბუცუნი—ერთგვარი საჭმელია.
13) თერმონია—ჩაი.
14) მწიკვლი—სიბინძურე.

*) ვაი დედავ, ჩვენ თავად-აზნაურობას ერთი რამ სახის დამშვენებელი შერჩა და ეხლა თუ ულვაშებიც იგლიჯეს, მაშინ სულ მთლად აუშენდებათ ოჯახი.
ასოთ-ამწყობი.

გარეთ პოლიტიკას ჩვეულებრივი გზა. დასში მომხდარ განხეთქილების შესახებ მანიფესტი მწუხარებას აცხადებს; დარიგებას იძლევა ყველა რადიკალთა ერთად შეკავშირების შესახებ და იმედოვნებს არჩევნების შემდეგ დასის ახალი ორგანიზაციის შედგენას.

შეერთებული შტატები. ამერიკაში ისევ ძალაშია „ლინჩის კანონი“. ნიუ-იორკიდგან 120 მილის მანძილზედ მდებარეობს ქალაქი ვილმინგტონი, სადაც ამას წინად შემდეგი შემაძრწუნებელი ამბავი მოხდა. პასტორის ქალი-შვილი ელენე ბიშოპი ამ რამდენისამე ხნის წინად სკოლაში წასულა და თავის დროზედ შინ აღარ დაბრუნებულა. მაშინვე შეუდგნენ ქალის ძებნას და იპოვნეს სკოლის გზაზედ გონება-დაკარგული და დასისხლიანებული. უბედური ქალი მიიყვანეს სახლში და დაუწყეს მობრუნება, მაგრამ ამაოდ, გრძნობაზედ ვერ მოიყვანეს; საბრალო ქალი გარდაიცვალა. ექიმებმა გასინჯეს გვამი და აღმოჩნდა, რომ ელენე ბიშოპისათვის ძალად ნამუსი აეხადნათ და შემდეგ ხანჯლით დაეჭრათ რამდენსამე ადგილას. ამ დანაშაულობაში ეჭვი მიიტანეს ზანგ ჯორჯ უაიტზედ, რომელიც შეიპყრეს და დააპატიმრეს ადგილობრივ ციხეში. მცხოვრებნი ისედაც მეტად აღელვებულნი იყვნენ და კიდევ უფრო აღელდნენ იმას შემდეგ, როდესაც ვილმინგტონის ეკკლესიის მეორე მღვდელი, დ—რი ელვუდი ხელახლად შეეხო ამ ამბავს თავისს ეკკლესიაში კვირა დღეს, ქადაგების დროსა. ელვუდმა სთქვა, რომ კანონი, რაც შეიძლება, უსასტიკესად უნდა მოექცეს ამ დანაშაულობის ჩამდენს ჯორჯ უაიტსაო. წინააღმდეგ შემთხვევაშიო,—დაუმატა მღვდელმა ელვუდმა,—მოქალაქეთ უნდა იზრუნონ მკვლელის სასტიკად დასჯისათვისაო. ამ ქადაგებამ გულში ცეცხლი აუნთო დამსწრე საზოგადოებას და საოცარის სისწრაფით შეუდგნენ „ლინჩის კანონისათვის“ მზადებას. მეორე დღეს, ორშაბათს, ივნისის 9-ს, ღამით, დიდი ბრბო, ასე 4,000 კაცამდე, ციხეს გარს შემოერტყა. უმეტესობა შეიარაღებული იყო; წინ მიუძღოდათ 50-მდე შეიარაღებულნი, ზოგი დედაკაცის ტანისამოსში გამოწყობილი, ზოგიც პირზედ ნიღაბ-ჩამოფარებული. ბრბომ შეამტვრია ციხის კარები და შევიდა. დერეფანში მათ წინ შეეხჩა პოლიციის ძლიერი რაზმი; მოხდა დიდი შეტაკება; რამდენიმე კაცი მოჰკლეს. დასასრულ პოლიცია ძლეულ იქმნა, დასტოვა „ბრძოლის ველზედ“ რამდენიმე მოკლულ-დაჭრილი და გაიქცა, ბრბო-კი დამნაშავე ზანგის ძებნას შეუდგა. კარგა ხნის ძებნის შემდეგ იპოვნეს. ზანგი ეხვეწებოდა, ევედრებოდა,—შემიბრალეთო, მაგრამ ამაოდ. გამოიყვანეს ციხიდგან და წაიყვანეს იქ, სადაც ელენე ბიშოპი გაეუპატიურებინა. იმ ადგილზედ უკვე მოემზადებინათ ვეებერთელა კოცონი. უაიტმა აღიარა თავისი დანაშაული; ბრბომ სიხარულით ტაშის ცემა, ყვირილი და სტვენა ასტეხა. შემდეგ ამისა ზანგს გადაასხეს ნავთი, მიაკრეს ხარიხაზედ და დააყენეს კოცონზედ, რომელსაც ცეცხლი მოდებული ჰქონდა. დიდხანს იტანჯა საბრალო ზანგი. რამდენჯერმე თავიც დაიღწია აღგზნებულ ცეცხლს, მაგრამ იჭერდნენ და ისევ ცეცხლში აგდებდნენ. როდესაც სული განუტევა, ბრბომ დაუშინა ტყვია და დამწვარი სხეული სულ ერთიანად დასცხრილა. აღისრულეს-რა სანატრელი სურვილი, ბრბო მხიარულად დაბრუნდა შინ.

ოსმალეთი. გაზ. „ბერლ. ტაგ.“-ის სტამბოლელი კორესპონდენტი იუწყება: „ივნისის 20-ს ილდიზ კიოსკში“ მოხდა მინისტრთა საგანგებო თათბირი, რომელზედაც გადასწყვიტეს ბულგარიის საზღვარზედ ჯარების თავმოყრაო“.

ნ ა რ კ ვ ე ვ ი

გაზ. „С.-Петерб. Вѣд.“-ში დაბეჭდილია ქუთაისიდან გაგზავნილი კორესპონდენცია, რომელშიც სხვათა შორის სწერია:

„საკითხმა ქართული ენის განდევნის შესახებ სამეგრელოს სკოლებისა და ეკლესიებიდან აადელვა მთელი აქაური საზოგადოება. ამას წინად ქართველ თავად-აზნაურთა მორიგ კრებაზე ქ. ქუთაისში კრების წევრმა, ადგილობრივმა აზნაურმა, ნაფიცმა ვექილმა მ. ა. ქიქოძემ სიტყვა უძღვნა ამ სამწუხარო საკითხს. მან აღნიშნა, რომ დღეს აშკარად სჩანს მიდრეკილება, სუყველთათვის სამშობლო ენის, ქართულის მაგიერ განუვითარებელ—სვანურ და მეგრულ ენების შემოღებისადმი, ეს ენები მხოლოდ მცირე შტოებია საერთო ქართული ენისა და წარსულ ჟამთა განმავლობაში სრულებით არ განვითარებულან და არ გადაქცეულან დამოუკიდებელ ენებად. ამას ის უეჭველი ფაქტი ამტკიცებს, რომ ამ ენებზე არ არსებობს არავითარი მწიგნობრობა, არავითარი ლიტერატურა.

—

17 ივნისს ქ. მოსკოვის სამოსამართლო პალატის სესსიას განუხილავს საქმე სემინარიის და ქალთა სასწავლებლის მასწავლებლის ვ. ნ. ლაგოვსკის შესახებ. ამ მასწავლებელს აბრალებდნენ დიფამაციას, თანამდებობის პირთა შეურაცხყოფას გაზეთში. ბრალდების ოქმიდან სჩანს შემდეგი:

ალექსანდროვის ჟანდარმთა განყოფილების უფროსს როტმისტრ ვოლფს უჩივლია ქ. კოსტრომის ოლქის სასამართლოს პროკურორთან, რომ ქ-ნმა ლაგოვსკამ მოაწერინა სადგურ ალექსანდროვის ჟანდარმის და ჟანდარმთა მთელი პოლიციის შეურაცხყოფა და გაზ. „Котр. Лист.“-ში დაბეჭდა წერილი, რომელშიაც ამბობდა, რომ მას რკინის გზის მატარებელში სადგურ ბარანოვის და ალექსანდროვის შუა კიბადამ ამოართვეს ძილში ჯიბიდან საათი და ფული. მან დროზე შეუტყო ქურდს, დაიჭირა და სადგურ ალექსანდროვის ჟანდარმს გადასცა და თან მოწმეებიც მოიყვანა. ჟანდარმმა დაარწმუნა ლაგოვსკი, რომ ამ საქმეს კანონის მოთხოვნილებისამებრ აწარმოებენ. ამის შემდეგ ლაგოვსკის შეუტყვია ქ. ალექსანდროვსკაში, რომ მისგან დაჭერილი ქურდი გამოუშვიათ. ჟანდარმთა როტმისტრი ჩიოდა პროკურორთან, რომ ლაგოვსკი არა კეთილსვინიდისიერად ბრალსა სდებს ჟანდარმსა, ამ უკანასკნელის მოქმედების რაღაც ფარულ მიზეზებს ეძებს.

საქმის გარჩევის დროს ჟანდარმთა როტმისტრმა ვერ დაასაბუთა თავისი მოჩივარი, რადგან უსაფუძვლო ფაქტები მოჰყავდა. პროკურორის თანაშემწემ უარი განაცხადა ბრალდებაზე, რადგან დამტკიცდა, რომ ლაგოვსკი მართალს ამბობდა ჟანდარმთა მოქმედების შესახებ. სამოსამართლო პალატამ გაამართლა ბ-ნი ლაგოვსკი.

ბიბლიოგრაფია

წარსულს წელს ოდესაში დაიბეჭდა დომინიკანელი ემიდიო დორტელლი და სკოლის მოგზაურობა სათათრეთში. ეს დასკოლდი უთუოდ პრეფექტი კაფფისა და აღწერა თავის მოგზაურობა. 1634 წ. ზოგიერთა ცნობა ამ წერილისა შეეხება საქართველოსაც. ოდესაშივე დაიბეჭდა ერთი გეგმა ქ. ტფილისისა 1785 წ. ახსნა ამ გეგმისა ფრანგულს ენაზედ შეიცავს მხოლოდ რამდენსამე სტრიქონს. ამ წარწერიდან სჩანს, რომ გეგმა შეუდგენია ალექსანდრე პიშევიჩს. ამ პიშევიჩის შვილის შვილმა ბ. ი. შელავენიცმა შესწირა მოხსენებული გეგმა ოდესის საისტორიო საზოგადოებას. გეგმას მიუძღვის შემდეგი ახსნა ფრანგულს ენაზედ: „გეომეტრიული გეგმა ტფილისისა, საქართველოს სატახტო ქალაქისა, რომელიც მდებარეობს მდინარე მტკვარზე და რეზიდენციაა ერეკლე მეფისა, საქართველოს ბატონისა.“

„ქალაქი ტფილისი იყოფა სამს ნაწილად; ერთი ჩრდილოეთისკენ იწოდება კალად, ანუ სწორი ქართველებისა. მეორე სამხრეთისკენ იწოდება ტფილისად (სომხებისა) და მესამეს აღმოსავლეთით ჰქვიან ავლაბარი და სძევს მტკვრის გაღმა.“

საინტერესოა ამ გეგმაზედ აღნიშნული სახელები ეკლესიებისა, სასახლეებისა და შესანიშნავ ადგილებისა. ჩვენ დავთვალეთ ქართველთ და სომხების ეკლესიების რიცხვი და აღმოჩნდა, რომ იმ დროს ტფილისში ქართველებს (მართლმადიდებლებს) ეკუთვნოდათ 13 და სომხებს თორმეტი. უნდა შევნიშნოთ, რომ ავტორს შეცდომებიც შეჰპარვია, მაგალითად, მეტეხს სომხების ეკლესიად ასახელებს. ერთს ეკლესიას აუნიშვნელად სტოვებს, ვის ეკუთვნის ქართველებს, თუ სომხებს! კათოლიკებს ჰქონდათ ერთი ეკლესია. ტფილისში ყოფილა რამდენიმე მეჩეთი.

ა. ხახანაშვილი.

დ ე პ ე შ ა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

27 ივნისს.

ტამბოვი. მოვიდა მიტროპოლიტი ანტონი.

ბორისო-გლებსკი. მუშები, რომელთაც შესწყვიტეს მოშაობა ბორისო-გლებსკის ქარხნებში, დახვდნენ ტამბოვის გუბერნატორს პურ-მარილით; ზოგი მათგანი დღეს სამუშაოდ დადგა.

კელინი. „კელნიშე ფოლკ-ცეიტუნგს“ ატყობინებენ რომიდგან, რომ ყველა ღონისძიება, როგორათაც მარილ-წყლისა და ეფირის შეშხაპუნება მკავ-ბადის შესუნთქვა მხოლოდ რამოდენსამე საათს თუ განუგრძობს სიცოცხლეს პაპს.

რომი. ექიმებმა ხელ ახლად გაუხსნეს პაპს მკერდი, პაპს კარგად ეძინა.

ლონდონი. „მორნინგ პოსტის“ კორესპონდენტი ვაშინგტონიდან იუწყება: „შევიტყე, რომ პეკინში მთავრობასა და შეერთებულ შტატების წარმომადგენელს შორის მოლაპარაკებაა იქაურ მისსიის დაცვის შესახებ“.

ლუბესაგან ინგლისიდან წასვლის დროს გამოგზავნილ დეპეშაზე მეფემ უპასუხა: „თქვენმა გულითადმა დეპეშამ, რომელიც ეს არის ეხლა მივიღე, დიდად მასიამოვნა. ჩვენ ყველას ძრიელ გვიხარიან, რომ ჩვენთან ყოფნა მოგეწონათ. ჩემი მხურვალე სურვილი ის არის, რომ ორივეს ჩვენის ქვეყნის დაახლოვება ხანგრძლივი იყოს“.

პეტერბურგი. „კანონდებულთა კრებულში დაბეჭდილია: დაარსება რუსეთის ნავოსნობისა ღანიაზე.

28 ივნისს.

ირკუტსკი. დილის ამბით ჩაყარეს საძირკველი საქველ-მოქმედო საზოგადოების შენობისა, რომელიც იაფ-ფასიან სასადილოთ და ღარიბთა თავშესაფარად არის დანიშნული.

ნიჟნინოვგოროდი. ერობის საგუბერნიო საგანგებო კრებამ გადასწყვიტა გააფართოვოს სულით ავადმყოფთა თავშესაფარი. თავშესაფარი 340.000 მან. ეღირება.

სოფია. მინისტრთა საბჭომ, მიიღო რა სტამბოლიდან მშვიდობიანობის ამბები, დაადგინა გააუქმოს მობილიზაცია და დაითხოვოს 3.000 სათადარიგო ჯარის კაცი.

რომი. პაპიევ იმავე მდგომარეობაშია.

პეტერბურგის ბირჟა, 27 ივნისს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,80
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,45
ბერლინში ,,	46,30
პარიჟში ,,	37,60
პარიჟის დისკონტი	5-6½%
4% სახელმწიფო რენტა	98½ მყიდ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	100¾ მყიდ.
4% გირავნ. ფურც სახელ. საადგ. მამულო ბანკის	105⅛ მყიდ (?)
5%ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	436½ წვ. გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	338 წვ. გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	288 გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები ,, ,, ,,	—
,, კასპიის ამხანაგობისა.	—
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	382
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	—

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდგან.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით.)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 10 ს. 37 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 18 წ. 3) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 49 წ.

ბაქოს; 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 4 ს. 24 წ.; 2) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 49 წ.; 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 32 წ.

ყარსსა და ერევანს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 12 ს. 30 წ.; 2) სამგზავრო № 90/91 შუადღის 12 ს. 38 წ.

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 58 წ.; 2) სამგზავრო № 9/10 დილის 6 ს. 21 წ.

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 ღამის 11 ს. 22 წ.; 2) საფოსტო № 4 საღამოს 10 21 წ. 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 37 წ.

გ) ბაქოდგან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე, პარასკეობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 4 ს. 40 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 10 ს. 16 წ.; 3) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 01 წ.

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: ღამის 1 ს. 58 წ.; დღის 2 ს. 23 წ.

ბათუმისაკენ: ღამის 1 ს. 58 წ.; დღის 2 ს. 28 წ.; დღის 4 ს. 48 წ.

შორაპნისაკენ: დღის 3 ს. 8 წ.

სასამართლოს შესახები ცნობანი.

2 ივლისისათვის თბილისის სამოსამართლო პალატაში დანიშნულია განსახილველად:

1. ზაქარია დეკანოზოვისა და გრიგოლ მანაგურაძის საქმე.
2. ზაქარია გერქეულისა და ზაქარია კობიევის საქმე.
3. მატრონა მგალობლიშვილისა და ივანე ბაქრაძის საქმე.

განცხადება

ქუთაისის გუბერნიის, შორაპნის მაზრის

შავი-ქვის მრეწველთა საბჭო

აცხადებს, რომ ქალაქ ქუთაისში ამ 1903 წლის ივლისის 5 ს, შუადღის 12 საათზედ, საბჭოს სადგომში მოხდება საჯარო ვაჭრობა საკალატოზო და ზოგიერთი სადურგლო საქმის იჯარით გასაცემად. ეს საქმეები ჭიათურის მთამადნის მუშათა საავადმყოფოსთვისაა საჭირო და სულ ეღირება 20,000 მან. ვისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება ჰსურს, ვაჭრობის დაწყებამდე საბჭოს კასაში ბედ უნდა წარადგინოს ნაღდ ფულად, ან მთავრობისაგან უზრუნველ-ყოფილ სარგებლიან ქაღალდებით 500 მან.. ვაჭრობის შედეგი საბჭომ უნდა დაამტკიცოს,

ამასთანავე საბჭოს კრება დასძენს, რომ საავადმყოფოს აშენება ხარჯთ-აღრიცხვით სულ 40,000 მან. ნაანგარიშევი, მაგრამ მიმდინარე წელს მხოლოდ ნაწილი იქნება გაცემული 20,000 მან. ღირებული. (1—6.—1)

„GRAND PRIX“ PARIS 1900.

Т-во Высшей парфюмеріи

А. Ралле и К°

„Золотой Ирисъ“

ტფილისის ქალაქის გამგეობა

იწვევს იმათ, ვინც იკისრებს რიყის ქვის, დამტვრეულ ქვისა, ხრეშისა და ქვიშის მოტანასა და შეაგროვებს **ქალაქის ქუჩების მოსაკირწლავად,** ამათ 10 ივლისამდე, შუადღის 12 საათამდე, უნდა წარადგინონ დაბეჭდილი კონვერტებით თავიანთი განცხადებანი იმ პირობათა შესახებ, რა პირობებითაც იკისრებენ დასახელებულ მასალის შეგროვებას დიდუბესა, ავლაბარსა, ნავთლუხსა, ვერასა და სეიდაბათში.

ამ საქმეს მოიჯარადარე უნდა შეუდგეს ამა წლის აგვისტოს.

საზოგადო სატეხნიკო პირობებისა და სხვა ცნობების მიღება შეიძლება გამგეობის საამშენებლო განყოფილებაში, ყოველ დღე, დილის 10-დან ნაშუადღევის 1 საათამდე.

განცხადება მიიღება მხოლოდ წერილობით, დაბეჭდილ კონვერტებით ამ გვარის ზედწარწერით: „Къ конкуренцію на поставки матеріаловъ для новаго мощенія города Тифлиса“.

განცხადებაში ყველა ჩამოთვლილ რაიონისათვის ცალკე უნდა იყოს აღნიშნული, როგორც ფასი (კუბ. საჟენისა) დაკვეთილ საქმისა, ისე რაოდენობა და ვადა.

განცხადების წარდგენა შეიძლება, როგორც მთელ სამუშაოზე, ისე ცალკე რაიონებზე. აგრეთვე შეიძლება განცხადების წარდგენა თვითოეულ საქმეზე ცალკე, მაგალითად, ქვიშის შეგროვებაზე ცალკე, ხრეშისაზე—ცალკე, დამტვრეულ ქვისაზე ცალკე და სხვა, ანა და ერთსა და იმავე კაცს შეუძლიან იკისროს ყველა ეს საქმე. ამ შემთხვევაში ფასი, ვადა და სხვა პირობა ყველა ჩამოთვლილ მასალაზე ცალკე უნდა იყოს აღნიშნული.

მოიჯარადრენი, რომელთაც საქმე მიენდობა, ვალდებულნი არიანი 7 დღის განმავლობაში შეიტანონ ბე, ამიტომ განცხადებაში აღნიშნული უნდა იყოს რაოდენობა იმ ბეისა, რომელიც უნდა წარდგენილ იქმნას სამუშაოს კარგად შესრულების უზრუნველ საყოფელად, (3—6.—3)

საკოსმეტიკო მასალა

БЕРТА РИСЪ

მის იმპერატორ. უდიდებულესობ. კარის ვაჭარი

Pasta Eugénie საცხებელი (პუდრა) პირი-სახისათვის, რომელიც აქრობს სწრაფად მზისაგან ალანძულებას, ჭორფლს, სიწითლის ლაქებს არბილებს პირისახის კანს, აგრეთვე სიახლესა და სილამაზეს აძლევს სახეს. ფასი 1 მ. 60 კაპ.

პუდრა-Eugénie თეთრი, ვარდის ფერი და რაშელი. მაგრად ეკვრის კანს და თვალისათვის უჩინარია; აგრეთვე აძლევს პირის-სახის კანს შესანიშნავს სირბილეს, სიფაფუკესა და სინაზეს. ფასი 1 მ. 20 კ. შესაფქვევის ბუმბულის კანით 1 მ. 50 კ.

ფერ-უმარილი-Eugénie (წყალივით არის) და აძლევს ღაწვებს და ყურებს სრულიად ბუნებრივს ვარდის ფერს, რომელსაც არ ეშინიან არც დღისა და არც ელექტრონის სინათლისა. ფასი 1 მ. 50 კ.

Elixir-Mélange წყალივით სახმარია თმის აზრდელად და თავში ქერტლის გასაწყობად. ფასი 2 მ.

დაფნის ბალზამი (პუდრაა წყალივით) აძლევს პირი-სახეს, ყელს, ხელებს და სხვ. ნაზს სირბილეს და მარმარილოს მზგავს სისუფთავეს. აქრობს მზისგან ალანძულობას, ჭორფლს და კანის ყოველსავე ძიძიბოებს. ფასი 1 მ. 75 კ.

ქინაქინ-გლიცერინის-მიერი თმის საცხებელი (პომადა) პერუს ბალზამით შეზავებული გასამაგრებლად, გასახშირებლად და გასაზრდელად თმისა. ფასი 2 მან.

საღებავი თმისა (რის-გუტმანი): შავი, მიხაკის ფერი, შატენი და ბლონდი. ამ საღებავით შეღებილი თმა 6 კვირის განმავლობაში შეირჩენს ფერს; შემდეგ არ მიიღებს არც მოწითანო და არც ჯიგრის ფერს. ფასი 3 მან.

უნგარული ესენცია ულვაშებისათვის (რის-გუტმან) აძლევს ულვაშებს სასურველს ფორმას, ამაგრებს და ხელს უწყობს მათს სწრაფს ზრდას. ფლაკონი პატარა სარკით ადვილად შეინახება ჟილეტის ჯიბეში. ფასი 75 კაპ.

ტოკაის ბალზამი (ქიმიკოსის რისგუტმანისა) აქრობს ბებერებსა და მეჭეჭებსა, აქრობს ძირიან ფესვიანად. ფასი ფლაკონისა—80 კ.

უმთავრესი საწყობი ტფილისშია. სააფთ. საქონ ვაჭრ. ამხ.-ში და ყოველ სააფთიაქო მაღაზიაში.

ტექსტი ამოღებულია „Прав. Вѣст.“-იდან, № 233 1901 წ. (80—25)

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(Тифлисъ, Сололаки, Лермонтовская ул., № 9)

(წელი მეცხრამეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, **როგორც ქალებს, ისე ვაჟებს,** და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1903—1904 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) **საკომერციო ეკონომია,** 2) **საკომერციო არითმეტიკა,** 3) **ბუხჰალტერია** (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) **არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით.** 5) **საკომერციო მიწერ-მოწერა,** 6) **სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი,** 7) **მსწრაფლ-წერა და წერა-გაკრული და ლამაზი** (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 16 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე, დილის 10 საათიდგან თორმეტამდე და საღამოს 4 საათიდგან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ოგრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში.

პროგრამმები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს **ს. პ. მანუელიანცს,** ტფილისს.

უფასოთ ვასწავლით მსურველთ საწერ მაშინაზე მუშაობას, კურსებზე სწავლა ყოველ დღე. (25—160—2)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 28 іюня 1903 г. Типографія „Гутенбергъ“ (кн. Гр. Н. Діасамидзе). д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი **ა. ი. სარაჯიშვილი.**